645
963

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივნისი
1963 წ. N 6

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. ი. ჩიქოვანი

დაბადების 60 წლისთავის გამო

## ჭადრის ჩრდილი

ჭადრის ჩრდილში ჩამოვჯდები,
ხიდს გავყურებ დაღლილი და ნაკირთები,
უცებ ხიდზე გამოჩნდები,
მოდიხარ და მორიდებით გაკვირდები.
მოგელოდი თქორზე უფრო,
შენს ფეხის ხმას, ვით წვიმის ხმას, შევეთვისე,
მინდა ჩრდილში გესაუბრო,
მერე ფრთხილად გავიაროთ ბეწვის ხიდზე.
აწ უეკლო გზა სად არი,
სად წასულან მეგობრები დანარჩენი,
და გვალვაში ეს ჭადარი
მფარველია, თუ სიცოცხლის ყავარჯენი.
კვალს სტოვებდი მტკვრის კიდურზე,
ყრია ხიდზე ნაპერწკლები დახარჯული,
დაგშვენდება ცა ფირუზი
ან მოლურჯო დაღესტნური სამაჯური.
ბევრი რამ მაქვს მოსალოცი,
როგორც ჭადარს მაჩრდილობელს შეგეხიზნე,
დადგა წელი მესამოცე
და თამამად ვერ გავდივართ ბეწვის ხიდზე.
მაინც ვზივარ მტკვრის ნაპირზე,
არც ვარდი და არც ლაჟვარდი არ ხუნდება,
და მგონია შენს ნაბიჯზე
ვარდობისთვე კიდევ ბევრჯერ დაბრუნდება.

ს. ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონგრესი მოსკოვში



„ქალთა ბრძოლა ბავშვებისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის, აღზრდისა და განათლებისათვის“ — ასეთი საკითხია შეტანილი მსოფლიოს ქალთა მოსკოვის V კონგრესის დღის წესრიგში განსახილველად. პირველ რიგში ხომ ქალს—დედას აკისრია პასუხისმგებლობა ბავშვების — შვილების სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის. ამ მიზნით აერთიანებენ მსოფლიოს ქალები დღეს თავიანთ ძალებს და უერთდებიან მთელი პროგრესული ადამიანების აქტიურ მოქმედებას, რომ კაცობრიობას თავიდან აარიდონ გამანადგურებელი ომი, დამყარდეს მშვიდობა და ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია თანმიმდევრულად იბრძოდა და იბრძვის ბავშვთა უფლებების დაცვისათვის. ფედერაციის ინიციატივით დადგინდა 1949 წელს პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ და მას შემდეგ ყოველწელს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აღინიშნება იგი.

მეტად ღირსშესანიშნავი ნაბიჯი იყო ბავშვთა ინტერესების დაცვისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხებზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწვევით ვენაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია და 1955 წელს დედათა საერთაშორისო კონგრესი ლოზანში, რომლის მსგავსი რამ ქალთა მოძრაობის ისტორიამ არ იცის. 1.000-ზე მეტი დელეგატი შეიკრიბა მაშინ 66 ქვეყნიდან. ისინი მოუთხრობდნენ კონგრესის მონაწილეებს იმ აუტანელ პირობებზე, რომელშიაც უხდებათ ცხოვრება ბავშვებს კაპიტალისტურ სამყაროში. კონგრესმა მიიღო მანიფესტი, რომელმაც ხელი შეუწყო დედათა მუდმივ საერთაშორისო კომიტეტის შექმნას. მას შემდეგ კომიტეტი ფრიად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის ყველა ქვეყანაში.

არსად, არცერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ისეთი მშობელი, რომელსაც არ სურდეს მისი პირმშო გაიზარდოს ჯანმრთელი, კუნთმაგარი, რომ მას ქონდეს განათლების მიღების, კულტურულად აღზრდის, დასვენების უფლება და საშუალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა ბედნიერებისათვის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებიდან ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ იქნა აღიარებული. სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როცა ქვეყანაში სასურსათო კრიზისი მძვინვარებდა, პარტია, საბჭოთა მთავრობა მაინც პოულობდნენ დროს ბავშვებზე ზრუნვისათვის. მაშინ ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ბავშვთა უფასო კვების შესახებ. „ჩვენ, მოზრდილებს შეგვიძლია ვიშიმშილოთ, მაგრამ ბავშვებისათვის უნდა გადავინახოთ კარაქის უკანასკნელი გრამი, შაქრის უკანასკნელი ნატეხი, უკანასკნელი მუჭა ფქვილი“ — ამბობდა ბელადი.

ბავშვებზე ზრუნვა ჩვენთან ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე იწყება. ორსულ ქალთა სადეკრეტო შვებულება ხელფასის შენარჩუნებით, ჩვილ ბავშვიან ქალთა შემცირებული სამუშაო დღე, მათდამი უფასო სამედიცინო მეთვალყურეობა, სამშობიარო სახლების, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების, საავადმყოფოების, ბაგებისა და ბაღების უფართოესი ქსელი ბავშვებზე ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა.

ბავშვთა სამსახურშია ჩაყენებული ჯანმრთელობის საუკეთესო კერები — მთისა და ზღვის კურორტები. მილიონობით ბავშვი იგზავნება ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კურორტებზე.

6 მილიონზე მეტი ბავშვი ბედნიერად გრძნობს თავს ბავშვთა ბაღებსა და ბაგებში, ხოლო 2 მილიონზე მეტი ბავშვი სკოლა-ინტერნატებში და სკოლებთან არსებულ გახანგრძლივებული დღის ჯგუფებშია.

ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება სკოლის გარეშე დაწესებულებები — პიონერთა სასახლეები და სახლები, საბავშვო თეატრები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, გამომცემლობანი, რომლებიც ყოველწლიურად მილიონობით ტირაჟებით ბეჭდავენ ლიტერატურას. გამოდის მრავალი სპეციალური საბავშვო გაზეთი და ჟურნალი.

ამ ბოლო წლებში გარდა სპეციალური სასწავლებლებისა, ბავშვთა მუსიკალური აღზრდისათვის საშუალო სკოლებთან შეიქმნა მუსიკალური ნაწილები.

დიდი ღონისძიებანი განხორციელდა ბავშვთა სწავლისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის სოციალისტურსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ეკონომიურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა, სახალხო დემოკრატიული წყობილების განმტკიცებამ, მშრომელთა ცხოვრების დონის ზრდამ არსებითად შეცვალა ამ ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობა, განუზომლად გაუმჯობესდა მათი ცხოვრების და აღზრდის პირობები, ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიქმნა დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი სისტემა, შეუნელებლად ფართოვდება დედათა და ბავშვთა დაწესებულებების ქსელი.



სიღატაკისა და უმუშევრობის ზრდა, შიში მომავლის წინაშე — აი რა ვითარებაში აღინიშნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე წელს კაპიტალისტურ ქვეყნებში. გამალებული საომარი მზადება, რაც კაპიტალის მთავარ ქვეყნებში ხორციელდება, იწვევს სოციალური ღონისძიებებისათვის სახსრების შემცირებას, ფასებისა და გადასახადების გადიდებას, მშრომელთა ოჯახების ისედაც მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას. ყველაფერი ეს, უწინარეს ყოვლისა, დამღუპველად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე, მათ აღზრდაზე. მილიონობით ბავშვი მოკლებულია სიცოცხლის სიხარულს და შიმშილისაგან იღუპება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოს 600 მილიონი ბავშვი იტანჯება ცუდი კვებისაგან. 200 მილიონ ბავშვს, ანუ მთელი დედამიწის სასკოლო ასაკის ბავშვთა ნახევარს, საშუალება არა აქვს ისწავლოს. საბერძნეთში ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი შიმშილობს. იტალიაში 2 მილიონზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვი არ სწავლობს, ხოლო მშრომელთა მრავალი ოჯახი იქ ცხოვრობს არაადამიანურ საბინაო პირობებში — ნახევრად დანგრეულ სახლებში. ხშირად მრავალრიცხოვანი ოჯახი პირუტყვთან ერთადაა თავშეფარებული. არის სოფლები, სადაც ბავშვები თვალითაც ვერ ნახულობენ რძესა და ყველს. ფაშისტურ ესპანეთში ყოველი ასი ბავშვიდან 75 ტუბერკულიოზით არის დაავადებული.

შიმშილისა და სიღატაკის, მათხოვრული ცხოვრების მარწუხებშია ათასობით ბავშვი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმ ქვეყნებში, სადაც მილიარდები იხარჯება ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის იარაღების შესაქმნელად. თურქეთში ვერ სწავლობს მილიონ ნახევარი ბავშვი. ლათინურ ამერიკაში 14 მილიონზე მეტი ბავშვი მოკლებულია სწავლის საშუალებას, აქ ისეთი სახელმწიფოცაა, სადაც წერაკითხვის უცოდინარები მოსახლეობის 88 პროცენტს შეადგენენ. სკოლას მოწყვეტილი არიან აფრიკელ ბავშვთა მილიონები, მარტო ალჟირში 2 მილიონზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვი არ სწავლობს.

კაპიტალისტური სამყაროს ბავშვთა მძიმე მდგომარეობა შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. ამიტომ არის, რომ პროგრესული კაცობრიობა მთელ თავის ძალებს წარმართავს ნორჩი თაობის უფლებების დასაცავად. ამიტომაა, რომ ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობაში ძირითადი ადგილი ბავშვთა დაცვის და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს უკავია.

მსოფლიოს ქალთა მე-5 კონგრესი, რომელიც მიმდინარე წლის 24-29 ივნისს გაიმართება ქალაქ მოსკოვში თავისი ტრიბუნიდან მსოფლიოს გასაგონად კიდევ ერთხელ იტყვის მთელი ხმით:

— არ გვინდა ომი! შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა! ძირს კოლონიალიზმი, ჩაგვრა და უსამართლობა!

ყველაფერი კარგი და მშვენიერი ბავშვებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განათებული ოთხი სართული

პედაგოგი სუსანა გაბუნია უსმენს მეცხრეკლასელ თინა მგალობლიშვილს



### ნაყოფით გამოცნობილი ხე

ქუჩა მწვანეა და მყუდრო. ცალფა აგურით ნაგებ ზღუდეს სურო აჰყოლია და სინედლით დაუმშვენებია, ქუჩა გაუცოცხლებია.

ასეთი ქუჩა თბილისში ბევრია, განსაკუთრებით მთაწმინდის აყოლებაზე. მაგრამ სახლი, რომელზეც ჩვენ გიამბობთ და რომელიც ამ ქუჩის დასაწყისში დგას, ერთია.

„ხე ნაყოფით იცნობაო“ — ნათქვამია. ამ ხის ნაყოფი კი იცით რა ხილია? ათასობით ადამიანს რომ ატკბობს და აჯადოებს.

ეს ზურაბ ანჯაფარიძეა, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის უპირველესი ტენორი და მომხიბვლელი მსახიობი.

ეს ელისო ვირსალაძეა, ფორტეპიანოს პოეტი და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი, განუმეორებელი გრაციის ხელოვანი.

ეს ლიანა ისაკაძეა, მომადლებული ნიჭით ცხებული მევიოლინე გოგონა, შოპენის სამშობლოში შოპენის საუკეთესოდ შესრულებისათვის სცენა ქრიზანტემებით რომ აუვსეს.

ეს დავით თორაძეა, სულხან ცინცაძეა, ოთარ გორდელია, ბიძინა კვერნაძეა.

ეს მარინე იაშვილია, მარგარიტა ჩხეიძეა, ჯანსუღ კახიძეა, მედეა ამირანაშვილია, ციალა კვერნაძეა, ჯარჯი ბალანჩივაძეა, როდამ ჯანდიერია, ეს ურიცხვი ტალანტია, უკვე სახელდებულიც და ჯერ გაუშლელიც, სამამულე კვირტებად გასაშლელი.

### გარეთ გამოსული მუსიკა

თუ ამ სართულის მოგრძო დერეფანს თავიდან ბოლომდე ჩაივლი, თუნდაც ისე, რომ აქეთ-იქით ჩამწკრივებული საცხოვრებელი ოთახების კარებს არც კი შეაღებ, დერეფნის ბოლოს გასულს, უკვე გეცოდინება, რითი ცხოვრობენ ოთახთა ბინადარნი.

პირველ ოთახში რახმანინოვს უკრავენ. ამ აკორდებში არც შეიძლება შეცდე. მეორე ოთახიდან ბეთჰოვენის ჰანგი ილვრება — ეს პირველი კონცერტია. სხვაგან სენ-სანსი, ვიტალი შარლიე, პაგანინი, ჩაიკოვსკი და ქართული მოტივიც — თაქთაქიშვილი, მაჭავარიანი...

ამ სართულზე სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელი ოთახებია. ინტერნატი ცენტრალურ მუსიკალურ სკოლასთან 1945 წელს გაიხსნა. მაშინ საქართველოს ყველა რაიონს ეწვივნენ ცენტრალური მუსიკალური სკოლისა და კონსერვატორიის პედაგოგები და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების პირველი წყება ჩამოიყვანეს რაჭიდან, სვანეთიდან, დუშეთიდან, ქუთაისიდან, თიანეთიდან, ბარისახოდან. ჩამოსულთა პირველი წყება ძირითადად ვოკალისტებისგან შედგებოდა და მალე ჩვენი ოპერის თეატრმა საიმედო შევსება მიიღო.

პედაგოგი თამარ ანდრონიკაშვილი არჩევს ახალ ნაწარმოებს



შემდეგ წლებში სკოლა-ინტერნატში გაიხსნა საფორტეპიანო, სასულე საკრავებისა და საგუნდო-სადირიჟორო კლასები.

ახლა ინტერნატში 30-მდე ბავშვი ცხოვრობს.

ერთ-ერთი ოთახის კარზე დავაკაკუნეთ.



პედაგოგი ევგენია ჩერნიავსკაია ამეცადინებს მეათეკლასელ სვეტლანა ჩლაიძეს



გჯერა, რომ ცოდნის ასეთი დიდი წადი-ლი შეასრულებინებს ამ მეოცნებე გოგონებს ჩაიკოვსკის დიდებულ კონცერტს.

დერეფანში გამოსულს, რომელიღაც ოთახიდან გვესმის: „მჟავეებს, რომელთა წყალბადის ატომები ჩაინაცვლებენ მეტალის ატომებს, ეწოდებათ...“

გასაკვირი არაფერია. ეს ბავშვები ისევე ეუფლებიან ზოგად-საგანმანათლებლო საგნებს, როგორც სხვა სკოლის მოსწავლეები, ოღონდ გაკვეთილების ცხრილი გამოიყურება ცოტა სხვაგვარად, მაგალითად ასე:

1. გეომეტრია, 2. ჰარმონია, 3. რუსული ენა, 4. მუსლიტერატურა, 5. ქიმია, 6. აკომპანემენტი...

ზარი დაირეკება და კიბეებზე კისრისტეხით დაშვებული ბავშვები აფიშასთან შეჩერდებიან, უცებ დასერიოზულდებიან:

ნინო მაღრაძე

დაკვრა შეწყდა.

პირველი, რაც მზით სავსე ოთახში თვალში მოგხვდებათ, „ოგონიოკიდან“ საგულდაგულოდ ამოჭრილი და მუყაოზე ფაქიზად დაწებებული ფერადი ფოტოსურათია. ქერათმიან ახალგაზრდას ხელები მუხლებზე დაუწყვია და იცინის.

ვან კლიბერნის ეს სურათი ყველას საკუთრებაა და ამიტომ „ნეიტრალურ ადგილზე“, პიანინოს ზემოთ გაუკრავთ. ალბათ, ეს აფეთქებული ტოტიც გოგონებმა მის საპატივცემულოდ ჩადგეს კერამიკულ ლარნაკში.

ფატიმა გაგლოევა ოთხი წელია ცხოვრობს აქ. იგი ცხინვალიდან ჩამოვიდა და მას შემდეგ ერთი „ოთხიც“ არ მიუღია.

ფატიმა, თავთუხისფერ ნაწნავებიანი თეთრი გოგონა, გაკვირვებისაგან მხრებს იჩეჩავს ჩვენს შეკითხვაზე.

— სად უნდა წავიდე? კონსერვატორიაში.

დანარჩენები სიცილს ვერ იკავებენ მათთვის ასეთ გულუბრყვილო კითხვაზე.

ვინ მიატოვებს მუსიკას შუა გზაზე. ნამდვილ, დიდ მუსიკასთან ზიარება ხომ კონსერვატორიაში იწყება!

ხოლო მეორე კითხვაზე არც ისე სწრაფად პასუხობენ, სახეებზე გადაკრული ღიმილიც სხვადასხვაგვარია.

— რახმანინოვის მეორე კონცერტი? — გვინდა გავუადვილოთ პასუხი.

— ჰმ, ვის არ უნდა მაგის შესრულება... — აგრძელებენ გოგონები და მაინც რაღაც რჩებათ გამოუთქმელი, მეტად სასურველი.

ბოლოს ერთი, უფრო გაბედული, ჩუმად ამბობს:

— ვერ ვბედავთ ვიოცნებოთ ჩაიკოვსკის პირველი კონცერტის შესრულებაზე...

და მაშინვე:

— ო, როგორ უკრავს რიხტერი!

— ვან კლიბერნი!

— ჩვენი ელისო!..



ნუნუ კარბელაშვილი



ვერა ხვანიძე

„ცენტრალური მუსიკალური სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ნანა იაშვილის კონცერტი...

„მე-10 კლასის მოსწავლის ლიანა ისაკაძის კონცერტი“...

„მე-11 კლასის მოსწავლის ივეტა გუტმანის კონცერტი“...

მოსწავლეები პროგრამას ჩაყვებიან: პაგანინი, გლაზუნოვი, მოცარტი, ბახი, შოპენი, ჩაიკოვსკი...

კონცერტებს საუკეთესოთა შორის საუკეთესოები მართავენ. ღია და დახურული აკადემიური კონცერტები კი უფრო ხშირია და მათზე ყოველთვის წარმატებით გამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რევაზ მაჩაბელი

დიან მოსწავლეები: თამაზ ბუაძე, სვეტლანა ჩლაიძე, ნელი კურცხალია, ალექსანდრე თორაძე, მედეა ალთუნაშვილი, თამარ აფაქიძე, მარინე ხვიტია, ქეთევან თუშმალიშვილი, ნინო ჭირაქაძე, რევაზ მაჩაბელი, რუსუდან ხუნწარია, რუსუდან გავაშელი და სხვები.

ვინ იცის, იქნებ მათი ხვედრიცაა დაფნები უმრავლონ ქართულ მუსიკას!

### განაწილებული ტაში

იმდღევანდელი გაკვეთილის თემა იყო ვერდის „რიგოლეტო“. დაფაზე ვიოლინოს გასაღებისა და ორი დიეზის გარდა ყველაფერი წაეშალათ, მაგრამ დაუდევრად, და აქა-იქ მაინც ჩანდა სანოტო ნიშნების ნაშთები ან ნოტებს ქვემოთ გავლებული ლეგატო. სამაგიეროდ გულდასმით იყო დახატული სასაცილო კაცუნა კლარნეტით — „თამაზი“.

ბიჭები დროდადრო შეავლებდნენ თვალს დაფას და თვალებში უკრთოდათ ეშმაკობის ნაპერწკალი.

ისმენდნენ ლექციას იმის შესახებ, რომ ჯუზეპე ვერდამდე იტალიურ ოპერაში ორკესტრის პარტია არ ასრულებდა პირველხარისხოვან როლს და პირველი ოპერა, რომელშიც ვერდი ცვლის ამ ტრადიციას, არის „რიგოლეტო“.

და როცა მასწავლებელმა ქეთევან ლორთქიფანიძემ სპეციალური კარადის კარი გამოაღო და მაგნიტოფონი ჩართო, ახლა მხოლოდ მუსიკის სუფევა იყო კლასში. ანცი ბიჭუნები თითქოს დირიჟორის ნიშანს უცდიდნენო, უცებ დასერიოზულდნენ. ისმოდა მხოლოდ:

— კოზლოვსკია,

— იწყება ჰერცოგის რეპლიკები...

— ესენი თანაუგრძნობენ რიგოლეტოს.

და ბოლოს ჩამოვარდნილ სიჩუმეში ერთმა დაასკვნა: „გენიოსია ეს ვერდი!“.

რას ერჩი, კაცმა გამოთქვა თავისი აზრი!

შესვენება დიდიხნის დამთავრებული იყო, როცა მოსწავლეებმა ჩანაწერის მოსმენა დაამთავრეს...

კლასში დარჩა ჭაღარა პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან ლორთქიფანიძე...

დამსახურებული პედაგოგი მუსიკალურ სკოლას ბევრი ჰყავს: მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის, კომპოზიტორ კაბალევსკის მოსწავლე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ქეთევან თუმანიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები — თამარ ჩარექიშვილი, თამარ ჩხარტიშვილი, ვანდა შიუკაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები — თამარ ანდრონიკაშვილი, აზა ქავთარაძე, ნინო ოცხელი, თამარ მელიქნუბაროვა, თამარ ხუროშვილი, სუსანა გაბუნია, მარი აგლაძე, ევგენია ჩერნიავსკაია, თამარ ფხაკაძე, როზალინა როკოკი, მადლენა ევთიშვილი.

მათ საიმედო ხელშია იმ 370 მოსწავლის ბედი, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობენ.

ჩვეულებრივად სპეციალურ საგნებს კვირაში ორი გაკვეთილი ეთმობა, მაგრამ ღია და დახურული აკადემიური კონცერტების, კონკურსების ან გამოცდების წინ გვიან ღამემდე განათებული ოთხივე სართული. იხვეწება, დასრულებულ ფორმას იღებს ნაწარმოები, კმაყოფილი არიან მოსწავლეები, ხელებს იფშვნეტენ, იცინიან, კმაყოფილი არიან მშობლები და ბედნიერი არიან პედაგოგები.

ან რა შეედრება იმ სიამოვნებას, რასაც აღმზრდელები განიცდიდნენ ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში, სადაც ჩატარდა თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტი.

გრგვინავდა ტაში.

ეს ტაში უპირველეს ყოვლისა მათი იყო...

**ნარგიზა მგელაძე**



მერვეკლასელები მუსლიტერატურის გაკვეთილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. დემურხანაშვილი

# მენავთე სიკო

მხატვარი ბელა ბერძენიშვილი

არაფერი ისე არ გამოაცოცხლებს სოფელს, როგორც მენავთის ცხენზე შებმული ეჟვნის ხმაური. მძიმე მანქანების ყოველდღიურ ხმაურს მიჩვეული სოფლელები უცნაურად გამოცოცხლდებიან, როცა მენავთის ოთხთვალა ჩაივლის. ისინიც კი, ვისაც ჯერ კიდევ აქვს ნავთის საკმაო მარაგი, უყურადღებოდ ვერ დატოვებენ ეჟვნის ჟღარუნს და კეთილი ღიმილით ამბობენ: აგერ, ულვაშა მენავთე მოდისო.

შავი, აგრეხილი ულვაშის გამო (სწორედ ისეთი, როგორიც სათამაშო ქაღალდზე გამოსახულ სალდათებს აქვთ) ულვაშას ეძახიან. მენავთეს არა სწყინს სახელის გამოცვლა. იცის, რომ სიყვარულით ეძახიან.

სწორედ სიყვარული გახლავთ მიზეზი, აქამდე რომ არ მიატოვა ეს ძალზე ერთფეროვანი და მოსაწყენი პროფესია. აბა, თქვენ იფიქრეთ, რა მოსაწყენია ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდეს; მით უფრო ახალგაზრდა კაცისთვის. პირდაპირ დახავსდები ადამიანი. სამი წელია მუშაობს ნავთის საგარეუბნო წერტში. სამი წელია ერთსა და იმავე სოფლებს უვლის გარშემო. ზის რეზინისთვლებიან ოთხთვალაზე, რომლითაც მარხილივით მსუბუქად და უხმაუროდ მიაქანებს წაბლა ცხენი ერთტონიან ნავთის ბალონს. ყურებში ერთი და იგივე ხმა ჩაესმის, — ეჟვნის ჟღარუნი, იგი ასფალტზე ცხენის ფეხის ხმასაც კი ფარავს. ერთსა და იგივეს უყურებს ყოველდღე — შარაგზას. ეს შარაგზა ერთ დაუსრულებელ გრძელსა და საზიზღარ თოკს წააგავს. პირდაპირ ჯოჯოხეთია! ზეპირად იცის სად მრუდდება გზა, სად სწორდება. არაფერი ახალი — იგივე დილა, იგივე ცხელი შუადღე, სიცხისაგან გალღობილი ასფალტი, გზისპირას ჩარიგებული ნაცნობი სახლები, ხეები. ყველაფერი ძველი და მოსაწყენია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შარაზე კაცის ჭაჭანება არ არის. მიეყრდნობა სიკო ნავთის ბალონს და მიაშტერდება ცხენის ბარძაყზე ამოდაღულ ასო „ნ“-ს. ფიქრობს მენავთე, რას უნდა ნიშნავდეს ეს ასო, ან ვინ ამოდაღა. გუნებაში ჩამოთვლის კაცის სახელებს, რომელნიც ამ ასოთი იწყებიან. ქალის სახელები უფრო მეტია. აი, თუნდაც ნუნუ, ნუნუკა. ფიქრობს მენავთე, რომ ეს სახელი ძალიან კარგია და რომ ნუნუ აუცილებლად კარგ ქალიშვილს უნდა ჰქვიოდეს. ასეთი ფიქრებით გაივლის კარგა გზას, ბოლოს ვიღაც გამოვა აივანზე, ან ფანჯრიდან გადმოიხედავს და დაუძახებს.

—„მადლობა ღმერთს, — ამბობს გუნებაში მენავთე — ძლივს არ გამოჩნდა მუშტარი?“ აჩერებს ცხენს და ასხამს ნავთს. ერთ მუშტარს მეორე მოსდევს, მეორეს მესამე, ღიმილით ესალმებიან მენავთეს, ძუნწად ელაპარაკებიან. მერე ისევ მიჟღარუნობს ოთხთვალა შარაზე, ისევ მიაშტერდება ცხენის ფეხებს და ითვლის მის ნაბიჯებს. სანამ მენავთე ასამდე დაითვლის, კიდევ უნდა დაუძახოს ვიღაცამ. სამოცი, ოთხმოცდაათი... კიდევ აჩერებინებს ვიღაცა ცხენს. ეს ბალღური გართობა პირდაპირ სასაცილოდ მოეჩვენება კაცს, მაგრამ მენავთის ადგილას ყველა ალბათ ასე მოიქცეოდა. აბა, სხვა რა უნდა აკეთოს მენავთემ, რაღაზე უნდა იფიქროს?!

საღამომდე იცლება ბალონი. საღამოს მენავთე ხსნის ცხენს ეჟვანს და მოერეკება, შორიდან მომავალი მგზავრს ემგვანება. მზე უკვე ჩადის. სოფელში ბინდი წვება, ბინდი წვება მინდვრებზე, გზაზე. შავი ნისლით იბურება შორეთი, მოიპარება ღამე, ელექტრონები ინთება. ნახირი ბრუნდება საძოვრებიდან და ასფალტზე ახლად მონეხვილს მძიმედ ასდის იხშივარი. შარაზე ხალხი გამოფენილა, მთელი დღის ჯაფით მოქანცული მინდვრებიდან დაბრუნებული ხალხი.

სიკო ზის ოთხთვალაზე და საშინელ მოწყენილობას გრძნობს, თითქოს რაღაც დაკარგა, რაღაც აკლია. დაწურული ღრუბელივით არის დაცლილი და ალალბედად მიაქანებს ოთხთვალას. იცის, სახლში ავადმყოფი დედის მეტი არავინ დახვდება. მივა სახლში და უარესი. ისეთი გრძნობა იპყრობს თითქოს ვიღაც უნდა დახვედროდა შინ და იმედი უცბად გაუცრუვდაო. ვის ელოდა მენავთე, ვინ უნდა დახვედროდა?!

ასე გადის დრო, დღე დღეს ენაცვლება, გადის სამი წელი, სამი მეტად მოსაწყენი წელი.

იმ დღეს კი, იმ დღეს, ალაზნის პირას გაბნეული პატარა სოფლიდან ბრუნდებოდა მენავთე. სოფლის განაპირას, ფიცრული სახლის ფანჯარაში, მან ქალიშვილი დაინახა. უნებურად მიიხედა და ხედავს: ფანჯარასთან დგას; ფარდა გადაუწევია და მენავთეს დიდი შავი თვალებით მიშტერებია. პირდაპირ იმ თვალებს წაეფეთა მენავთე. ქალიშვილს სახეზე სიწითლე მოედო, მერე თითქოს ერთბაშად მოისაზრა, ფარდა დაუშვა და გაქრა. მიდის გზაზე მენავთე და ფიქრობს:

„იქნებ სხვა დროსაც, იქნებ სხვა დროსაც... და არ შემიმჩნევია, არ მიმიხედავს იქით. ან ახლა რატომ მივიხედე?!“

ბავშვობისას იცოდა ასე მენავთემ, გაკვეთილზე ზურგიდან დააშტერდებოდა ამხანაგს და ყოველთვის სჯეროდა მოიხედავსო. ეს ხერხი მართლაც გაუმართლებდა ხოლმე, ესეც სწორედ იმ ბავშვურ თამაშს ჰგავდა.

მენავთეს მაინცა და მაინც დიდად არ მიუქცევია ყურადღება ამ ამბისათვის. ეგ იყო, გულში მცირე რამ სიამეღ ჩარჩა. შემდეგ იმ სახლისკენ გავლისას ქალიშვილი აღარ დაუნახავს ფანჯარაში, მაგრამ როგორღაც გრძნობდა — ფანჯრიდან კიდევ იყურებოდა ვიღაც.

და აი, ერთ დღეს სოფლიდან უკან ბრუნდება მენავთე... ჩვეულებრივ მოწყენილია, თითქოს რაღაც დაკარგა, რაღაც აკლიაო. საღამო ჟამია. ამოცდა სოფელს და ხედავს: მინდორზე მოდის ქალიშვილი და წკეპლით მოერეკება თეთრ ბატებს. შორიდანვე ხედავს — ფეხშიშველია. მზე ჩადის, მთების წვერებზე, მინდორზე, მზის მტვერიღა ციმციმებს. ეს იყო სინათლის უკანასკნელი ციაგი დასავლეთის მხრიდან. მოუახლოვდა ქალიშვილი, იმასაც მზის მტვერი აყრია თავზე, ტანზე მჭიდროდ შემოკვალთვია თეთრად მოწინწკლული ჩითის კაბა. ქალიშვილი ცალი ხელით გულისპირს იფარავს და აღარ იცის სად დამალოს მზით შერუჯული შიშველი ფეხები. უცებ იგრძნო მენავთემ: ეს ის ქალიშვილია, რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა.

„აი როგორი ყოფილა!“ — ფიქრობს მენავთე, ცხენი ნაბიჯზე გადაჰყავს და აცქერდება. ქალიშვილი უფრო წითლდება, თავს ღუნავს და წკეპლას უშლაპუნებს გზააბნეულ ბატებს.

მენავთე თავს ძალას ატანს და დაბეჟილი ხმით ეუბნება:

— გამარჯობა, ქალიშვილო!

ქალიშვილი სალამზე არ პასუხობს. მენავთეს უნდა კიდევ უთხრას რაიმე, მაგრამ მღელვარება იპყრობს და მუნჯდება. ქალიშვილი მიდის შორს, სოფლისკენ და უკან იყურება.

დაცლილი გული ევსება მენავთეს. თითქოს ის, რაც აქამდე აკლდა, იპოვნაო. უცნაურად წახალისდება, გული აღარ ეტევა საგულეში. ურტყამს ცხენს მათრახს და ერეკება. გზა უცებ ილევა. ბინდისას მიდის სახლში. წვება და იწელება ღამე. უტყდება ძილი, დახუჭავს თვალებს და ელანდება ფეხშიშველი, სახეაწითლებული ქალიშვილი, რომელსაც ჩამავალი მზის მტვერი უციმციმებს თმაზე.

შუაღამისას წვიმას იწყებს, გაზაფხულის შხაპუნა წვიმას. მენავთე ფანჯარას აღებს. ფანჯრიდან შემოდის გრილი, სველი ჰაერი. ელვა იკლაკნება ცაზე და რუხრუხებს. წვიმის წვეთები ნელა, რიტმულად ხმაურობს ფოთლებზე, თითქოს შარაზე დაღლილი ცხვრის ფარა მიდისო. მენავთეს არ ეძინება, წევს და ფიქრობს: ნეტავ ახლა თუ სძინავს ქალიშვილს? მას ალბათ ნუნუ ჰქვია, სხვანაირად არ შეიძლება, ყველა კარგს ქალიშვილს ნუნუ ჰქვია. წვიმა ერთბაშად წყდება, წყდება წვიმა და სიჩუმე ისადგურებს. მერე სიო უბერავს, გრილი, ნაწვიმარი სიო. მენავთე დგება და იხედება ფანჯარაში. ფანჯრის იქით მეზობლის ბაღი ბინდში ჩაძირულა. ნაწვიმარი ხეები თითქოს თვლემენ. ისმის ფოთლებიდან ჩამოცვენილი წვეთების ხმა. ამ მეტად უხმაურო მიდამოს მიწაზე წვეთების დაცემის ხმაღა ასულდგმულებს, მეტი არაფერი. ნიავი ქვევიდან უბერავს, სწორედ იქიდან, სადაც იმ ქალიშვილის სოფელია.

„იქ არის ის, იქ, — ფიქრობს მენავთე, — ეს მისი ქარია“. ისევ წვება. უნდა როგორმე დაიძინოს. ძილის დროს მალე თენდება. ხვალ დილით დაჯდება ოთხთვალაზე და სოფლებს მოივლის. არასოდეს მას ასე არ მონატრებია თავისი ოთხთვალა.

გარიჟრაჟისას ეღვიძება მენავთეს. ცა მოწმენდილია, მხოლოდ სამხეურთან დარჩენილა რამდენიმე დაწრეტილი ღრუბლის ქულა.

იგი ადრიან მირბის ნავთის წერტში. ავსებს ბალონს და წაბლა ცხენს გამოუყენებს გზას. არასოდეს ასე ხალისით არ გადამჯდარა თავის ოთხთვალაზე, არასოდეს მონატრებია იგი ისე, როგორც ახლა, ამ დილას.

ნაწვიმარ ასფალტს თეთრი ორთქლი ასდის. შარის პირას ჩარიგებულ, თეთრად გადაპენტილ ხეებს ბეღურები შესევიან და ქვეყანას ჟივჟივით იკლებენ. ამდენი ჩიტი ერთად არ უნახავს მენავთეს ამ გზაზე. ასე მომხიბლავად არ უმღერიათ ბეღურებს. ამოწვერილი მზე ღრუბლის ქულებიდან ცერად იხედება და მის შუქზე სველი ასფალტი სარკესავით ლაპლაპებს.

უცნაური სიჩუმე ჩამოვარდნილა. აღარ დადიან მანქანები წარამარა, ამ მომაჯადოებელ სილამაზეს თითქოს ყოველივე




ჯაუყურებია. უძრავად დგანან ხეები და მხოლოდ ფოთლები ირხევიან ნელა. ასეთი დილა მენავთეს არ ახსოვს. არასოდეს შეუმჩნევია, თუ ამ გზას, ამ ხეებს, ამ მაღალს, მოწმენდილ ცასა და ღრუბლებში მოცრიატე მზეს ასეთი სილამაზე ჰქონდა. იგი მიერეკება ცხენს და მისი გულიდან მოედინება იდუმალი სიმღერა, სიმღერა სიყვარულზე და დღევანდელ დღეზე.

— ნავთი! — გზაზე გამოდის ვიღაც ბიდონით ხელში და იძახის მენავთეს. მენავთეს არ ესმის მისი ხმა, თავდავიწყებით მიერეკება ცხენს.

სოფელს სცდება. სოფლის შემდეგ ველი იწყება და ველის მთელი ზედაპირი ოქროსფრად და მწვანედ აბიბინებულ ზღვას წააგავს. მერე ჯეჯილი იწყება. ჯეჯილის უკვე დამსხვილებულ ღეროებს წვეთები შერჩენია და ისინი ვერცხლის წყალივით ბრწყინავენ მზეზე.

ოთხთვალა თურდოს ხიდზე მისრიალებს. თურდო მოდიდებულია. მთებში, ეტყობა, წუხელ დიდი წვიმა იყო. ხიდიდან მთელი ხეობა მოჩანს. მოჩანს ახლადგაფოთლილი ტყე. ამ მდინარეს გაფოთლილი ტყის სურნელი მოაქვს. ხიდის ყურეში წისქვილია, თეთრი მტვერი დასდებია წისქვილის კრამიტებს, წისქვილის წინ ვეება ქვაზე ჩამომჯდარა აჯია მეწისქვილე და ყალიონს აბოლებს. აჯიასაც თეთრი მტვერი დასდებია.

თურდოს ხევს მაღლა თავადების პარტახად ქცეული ნასახლარებია.

„რა გემოვნება ჰქონიათ მამაძაღლებს, — ფიქრობს მენავთე, — აქ ცხოვრება მთელ სიცოცხლედ ღირს, აი, აქ შეიძლება სახლი დადგა კაცმა, ამაზე კარგ ადგილს ვერსად იპოვი, აქედან მთელი ქვეყანა ხელისგულივით ჩანს. აქამდე რატომ ვერ შევამჩნიე. აქ შეიძლება სახლი დადგა კაცმა, მოგცემენ სამოსახლოს და დადგამ სახლს“.

ისევ იწყება სოფელი. გზის პირად ჩარიგებულან სახლები. თითქმის ყველა სახლის ფანჯარა ღიაა და ღია ფანჯრები ისუნთქავენ გაზაფხულს.

ფანჯრიდან ვიღაც იხედება და იძახის:

— ნავთი!

მენავთეს, რასაკვირველია, არ ესმის. ფანჯარაში დგას გაწბილებული მუშტარი და მხრებს იჩეჩავს.

შორს, გზაზე ჩანს შირვანიდან დაბრუნებული ცხვრის ფარა. ცხვარს მთელი გზა გადაუთეთრებია. ფარა ნელა მიიწევს წინ და მასთან ერთად თითქოს მთელი შარაგზა იძვრის. მენავთე უახლოვდება ფარას. ცხვრები ფრთხებიან და გზას უთმობენ. შოლტს ატყლაშუნებენ დიდი ხნის მოგზაურობით დაღლილი მწყემსები. ზოგი ალბათ ორი თვეა სახლში არ ყოფილა. ვინ იცის, როგორ ეჩქარება ცოლშვილში.

მენავთე ფარას სცდება და ქრება მატყლის მძიმე სუნი.

შორს ჩნდება სიმწვანეში ჩაფლული პატარა სოფელი. ახლა, შეიძლება, ქალიშვილი ბატებს მიერეკება მინდვრისაკენ, შეიძლება შიშველ ფეხში ეკალი შეერჭო და გამწარებული სიფრთხილით იღებს ეკალს. ან შეიძლება ოთახში ზის, ღია ფანჯარასთან და შუქფარებს ქარგავს.

ვიღაც ისევ გამოდის გზაზე ბიდონით ხელში და უძახის მენავთეს.

მენავთეს არ ესმის. მიჟღარუნობს ოთხთვალა, მენავთეს ახლა არც ეჟვნის ჟღარუნი ესმის. მიერეკება ცხენს და ყოველ ნაბიჯზე თვალწინ ეშლება ახალი, ლამაზი სანახაობა. ჰაერი საოცრად მსუბუქი და სურნელოვანია. ათასფრად გადაფერილა მიწა. მოწმენდილი და უზომოდ მაღალია ცა. ცა ზღვას წააგავს, ანკარა ზღვას და ამ ზღვაში თითქოს მთელი დედამიწა არეკლილა.

კიდევ იძახის ვიღაცა, გააჩერეო, მენავთეს არ ესმის, არ უნდა გაიგონოს, უნდა ასე იაროს დაუსრულებლად. ასე მიაქანებდეს ოთხთვალას ქვეყნის კიდემდე. იქამდე, სადამდისაც ეს სილამაზეა და ის პატარა ჭალაში გაბნეული სოფელი.

მუშტრები დგანან და მხრებს იჩეჩენ.

რა დაემართა მენავთეს, რამ დააყრუა?!





გაიღვიძა პატარა ნატომ დილით, დაინახა ფანჯარაში მზე და გაიცინა.



დიდხანს იხეტიალა ბაღში და მის თავში დაგროვდა იმდენი კითხვა, რომ დაიბნა.



რას დაეძებენ ჭიანჭველები ასე გაუთავებლად და რატომ ეზიდებიან უზარმაზარ ტვირთს?

# რატომ?

რატომ ესვრიან ბიჭები ჩიტს ქვას და რატომ აღარ მღერის მგალობელი?



საიდან მოფრინდა აბეზარი ფუტკარი და რატომ კბენს ყვავილს?





პეპელა სულ სხვაა, პეპელა ყვავილივით ლამაზია. და რატომ ეშინია, როცა მინდა მოვეფერო?

რატომ გაეკიდა ფისუნიას ცუგო და რატომ დაეღრიჯა ასე?





დედას შევეხვეწები, რომ ყველაფერი მითხრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ყველა შემთხვევა განსაკუთრებულია



მთავარი ექიმი დ. იაშვილი

ჩვენ უკვე დავიარეთ საავადმყოფოს ყველა განყოფილება: ხუთი — დიზენტერიის, ერთი — ქუნთრუშის და ერთიც — შერეული ინფექციების. ვინახულეთ ლაბორატორიები: კლინიკურ-ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიური, პათომორფოლოგიური. ბლოკნოტში აღნიშნულია ფაქტები, ციფრები, პრობლემები, რომლებზეც აქ მუშაობენ. ვფიქრობ: ხომ არაფერი მავიწყდება? უცბად მახსენდება პირველი შთაბეჭდილება, სტაციონარში ფეხის შემოდგმისთანავე მიღებული — შესანიშნავად აწყობილი მუშაობის, რიტმის, და უკანასკნელ შეკითხვას ვაძლევ:

—როდის იწყება თქვენი სამუშაო დღე და როდის მთავრდება?

მთავარი ექიმი ჩემსკენ ბრუნდება:

— იწყება... იწყება, მაგრამ არ მთავრდება.

ის იღიმება და მე უკვე ვიცი: მსუბუქი ირონია, რომელიც მის სახეს დაჰფარფატებს ყოველთვის, რაგინდ სერიოზულ პრობლემებზეც არ უნდა საუბრობდეს მთავარი ექიმი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ნათქვამი შეიძლება ხუმრობად მიიღოთ.

„არასოდეს მთავრდება"... შენობაში, რომელიც ახლა დავტოვეთ, 300 პატარა საწოლი დგას და 40-სულიანი მედპერსონალი დაძაბულ, დაუსრულებელ ბრძოლაშია სამასი სიცოცხლის გადასარჩენად.

ასეა ყოველთვის, ასეა ყოველწამს. საავადმყოფოს მედპერსონალი მუდმივ მზადყოფნაშია — დღეც და ღამეც.

სხვანაირად არც შეიძლება — ასეთია თვით სახე ამ საავადმყოფოსი — ტოქსიკურად დაავადებულ ბავშვთა ბედი პირველ საათებშივე წყდება.

წინათ ბავშვთა შორის დაავადების სიმძიმეს იმით განსაზღვრავდნენ, თუ რამდენი ბავშვი იღუპებოდა დაავადების პირველ ოთხ საათში. ასე დაღუპულ ბავშვთა პროცენტი კი ძალიან მაღალი იყო, რადგან უცნობი იყო ტოქსიკური დაავადების გამომწვევი მიზეზები. მართალია, მთელ რიგ შემთხვევებში ეს მიზეზები ახლაც უცნობია, მაგრამ მედიცინას უკვე მოეპოვება ისეთი მძლავრი პრეპარატები, რომელთა გამოყენებით ბავშვთა სიკვდილიანობა დაავადების პირველ საათებში თითქმის 50-ჯერ შემცირდა.

1949 წელს 1 წლამდე ბავშვებში ნაწლავთა აშლილობით სიკვდილიანობა დიდი იყო. დღეისათვის მედიცინას აქაც დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული. ახლა 1948 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 5-ჯერ შემცირდა დაავადების ადრე გამოცნობის, ადრეული ჰოსპიტალიზაციის, ანტიბიოტიკების და სხვა კომპლექსურ საშუალებათა სწორად გამოყენების შედეგად.

ეს გვიჩვენებს, თუ რა უზარმაზარი მუშაობაა ჩატარებული ამ შედარებით მოკლე ვადაში.

საუკეთესო მაჩვენებელი ამ მხრივ უეჭველად ლენინგრადს მოეპოვება, სადაც, საერთოდ, ბავშვთა დაავადება შედარებით შემცირებულია. განკურნების მაჩვენებლების მხრივ კი ლენინგრადს ფეხდაფეხ სწორედ თბილისის ბავშვთა ინფექციურ-კლინიკური საავადმყოფო მიჰყვება, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი დავით იაშვილი ხელმძღვანელობს.

მართალია, საავადმყოფო ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ეკუთვნის, მაგრამ მისი ქება ქალაქის ფარგლებს შორს გასცდა. ამიტომ მისი კონტიგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი რაიონიდან ჩამოსულები არიან.

განყოფილებებს კარგი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ: ქეთევან ჩოგოვაძე, ვერა ჩიხლაძე, ვარვარა მელაძე, ვახტანგ კიკვაძე, გიორგი ნადარაია და სხვები. ივნისიდან საავადმყოფოს კიდევ ერთი განყოფილება ემატება — ინფექციური სიყვითლის (ბოტკინის დაავადებისა).

დიაგნოსტიკას და საექიმო აზროვნების სწორად წარმართვას ხელს უწყობს ლაბორატორიები: კლინიკურ-ბაქტერიოლოგიური, რომელსაც ლ. მაგრაქველიძე ხელმძღვანელობს, ბიოქიმიური (გამგე დ. აბდუშელიშვილი) და პათომორფოლოგიური (გამგე დ. ნაჭყებია).

გარდა ამისა, ყველა განყოფილებაში არის მიკროლაბორატორიები, რადგან მიკრობული ფლორის ზუსტად დადგენისათვის საანალიზო მასალა საჭიროა ადგილზევე დაითესოს.

საავადმყოფოს აქვს კარგად აღჭურვილი კარდიოლოგიური და რენტგენულ-დიაგნოსტიკური კაბინეტები. პირველს ეთერ ტურბელაძე განაგებს, მეორეს ნათელა ქიტოშვილი.



პედაგოგი ეთერ ტოგონიძე ამეცადინებს ავადმყოფ ბავშვს, რომ სწავლაში არ ჩამორჩეს.

საჭავადმყოფოს ბაზაზეა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ვლადიმერ ნემსაძე—ქართულ ენაზე ბავშვთა ინფექციური დაავადებების პირველი სახელმძღვანელოს ავტორი.

ამ კათედრაზე მუშაობენ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი — ასისტენტი ვალერიან მჭედლიშვილი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ სეფისკვერაძე.

საავადმყოფო კლინიკურია და ამიტომ მისი მუშაკები პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად მეცნიერულ მუშაობას ეწევიან.

* * *

შუადღე კარგახნის გადასულია. საავადმყოფოში მხოლოდ მორიგეები რჩებიან და მთავარი ექიმი, დავით იაშვილი — „მორიგე ექიმის მოადგილე“, როგორც აქ მას ხუმრობით უწოდებენ. ის თავის ოთახში შედის და სამუშაო მაგიდასთან ჯდება. „ქუნთრუშის კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესახებ საქართველოში“, — ასე ეწოდება შრომას, რომელსაც ამჟამად დავით იაშვილი ამუშავებს.

საავადმყოფოს ეზოში ჩრდილები გრძლად წვებიან. მებაღე ირაკლი ნიკოლაიშვილი თავისი დიდი მაკრატლით ბუჩქებს მაინც ვერ შორდება. „პატიოსანი კაცია, — მის ყოველ დანახვაზე ფიქრობს მთავარი ექიმი, არც საათი იცის, არც დაღლა“... ყვავილნარებთან, სკამებზე დედები სხედან, გამოჯანმრთელებული ბავშვებით. სულ პატარები, პირში გაჩრილი მუშტებით, თავს ზევით მოქანავე ტოტებს თვალს ვერ აცილებენ.

მზე რომ გადაიხრება, ეზოს ყველანი ტოვებენ და ხეებქვეშ საოცარი სიჩუმე დგება.

ალაყაფის კართან ჩერდება მსუბუქი მანქანა, წინა მინებზე წითელი ჯვრით. კარი თითქმის იმწამსვე იღება და მანქანას ატარებს. თეთრხალათიანი ქალი, ხელში აყვანილი ბავშვით, თითქმის სირბილით მიდის საავადმყოფოს შენობისკენ.

მთავარი ექიმის ოთახში ამ დროს საათი შვიდჯერ რეკავს. ის სავარძელს განზე წევს და ხელნაწერებს საქაღალდეში აწყობს. შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო დღე დამთავრებულია. თეთრ ხალათს იხდის და საკიდზე კიდებს. ის-ისაა საზაფხულო პლაშჩის სახელოში მკლავი უნდა გაუყაროს, რომ კარებზე აჩქარებული კაკუნი ესმის. მაშინვე რიკლედ შემოღებულ კარში თეთრჩაჩიანი თავი ჩნდება:

— პატივცემულო დავით! განსაკუთრებული შემთხვევაა...

ხელი თითქოს ანგარიშმიუცემლად ისევ ხალათს სწვდება. იცვამს და სწრაფი ნაბიჯებით ოთახიდან გადის. ქსენონში მაგიდაზე მწოლარე ბავშვთან ორნი დახრილან: მორიგე ექიმი ციცინო ქლენტი და ქსენონის გამგე გივი ხუნდაძე. აქ კი არაფერია საშიში —ორივე შესანიშნავი სპეციალისტია. მაგიდას უახლოვდება. ბავშვს თვალები დახუჭული აქვს, გაფითრებულა, ცხვირი და ტუჩები ჩალურჯებია, სუნთქვა სუსტი აქვს, მაჯისცემა არ ესინჯება.



განყოფილების გამგე ქეთევან ჩოგოვაძე (მარცხნივ)



დილის კონფერენცია



ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

მარცხნიდან—ემა ხოლოდაშვილი, ოლღა მაღლაკელიძე, მონიკა სომონჯიანი

მთავარი ექიმი ხელებს იბანს. შემდეგ, როცა მისი თითები ჩვეული მოძრაობით პატარა სხეულს სინჯავს, ტვინი დაძაბულად მუშაობს: „რა შეიძლება იყოს?“

მოკლედ კითხულობს:

—„ავადმყოფობის ხანგრძლივობა?“

— სამი საათი, — პასუხობს ციცინო.

„ტოქსიკური დისპეპსია“...

ბავშვს რთულ ბუფერულ სითხეს უსხამენ ვენაში ხანგრძლივი წვეთოვანი წესით. „ხვალამდე, იქნებ, ავადმყოფობის სურათიც ნათე-

**გაგრძელება იხ. 14 გვ.**



1945 წლის ზაფხულის მიწურულს სიმფეროპოლში მიმიწვიეს იუგოსლავიის ახალგაზრდობის დელეგაციასთან საზეიმო შეხვედრაზე. შეხვედრა გაიმართა სიმფეროპოლის ოფიცერთა სახლში. მომხსენებელმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მარტინოვამ დამსწრეთ მოუთხრო იმ გმირულ ბრძოლაზე, რასაც ფაშისტური ოკუპაციის წლებში დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდნენ ქალაქის კომკავშირელები.

— ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, — თქვა მარტინოვამ, — სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს, კომკავშირის რიგებში აღზრდილ გმირებს: ბორია ხოხლოვს, სენია კუსაკინს, ზოია რუხაძეს, ზოია ჟილცოვას და მრავალ სხვას, რომლებმაც თავიანთი ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას...“

მეორე დღეს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნის კაბინეტში ვიყავი და ვისმენდი მარტინოვას ნაამბობს ზოია რუხაძისა და მისი იატაკქვეშელი მეგობრების გმირული ბრძოლების შესახებ.

მოგვიანებით შევხვდი ზოიას დედას ანასტასია არტემის ასულ ტროფიმენკო-რუხაძეს, ყოფილ ახალგაზრდა იატაკქვეშელებს, ზოია რუხაძის მებრძოლ მეგობრებს: ლიდა ტროფიმენკოს, ვიქტორ დოლეტოვს, ანატოლ კოსეხინს და სხვებს. მათი ნაამბობი ეს იყო მეტად ამაღელვებელი მოთხრობა ახალგაზრდა გმირებზე, სამშობლოსადმი მათს მგზნებარე სიყვარულზე, კომუნისტური პარტიის საქმისათვის მათს თავგანწირვაზე.

* * *

სიმფეროპოლი. პუშკინის ქუჩა, № 27. ამ დიდი შენობის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს ზოია რუხაძის დედა—ანასტასია არტემის ასული.

ერთმანეთს გავეცანით. მას არც კი უკითხავს ჩემი მისვლის მიზეზი, თვალცრემლიანმა სკამი შემომთავაზა.

— ვიცი ჩემი ზოენკას გულისთვის მოხვედით, — დაიწყო მან, — გმადლობთ. გაგაცნობთ ჩემს შვილიკოს, მის ამბავს...

ჩემი ზოია 1916 წლის დეკემბერში დაიბადა. მოხდენილი სახის შავთვალწარბა გოგო იყო, ისეთივე როგორიც საერთოდ ეშხიანი ქართველი ქალიშვილები არიან. სიმფეროპოლის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. წარჩინებით დაამთავრა შვიდწლედი და სწავლა საგეგმო-ეკონომიურ ტექნიკუმში გააგრძელა. მისი დამთავრების შემდეგ, 1936 წელს მუშაობა დაიწყო სიმფეროპოლის საქალაქო საბჭოს საგეგმო განყოფილებაში მგეგმავ ეკონომისტად. 1939 წელს დაინიშნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის უფროს ეკონომისტად.

1938 წელს ზოია ალკკ რიგებში შევიდა. ამ დღიდან დაიწყო მისთვის ახალი ცხოვრება.

1940 წლიდან ზოია დააწინაურეს სიმფეროპოლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილედ. მას ამ თანამდებობაზე მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა.

* * *

შაბათს ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა ზოია სახლში. მას თვალები უბრწყინავდა, თითქოს რაღაც ახარებდა, წიგნები და გაზეთები ფანჯრის რაფაზე დაალაგა და სარკეში ჩაიხედა. მერე დედას მიუბრუნდა, გადაეხვია, გადაჰკოცნა და ყურში ჩასჩურჩულა:

— იცი, დედიკო, როგორ მიყვარხარ?! ამ ქვეყანაზე შენზე ძალიან არავინ მიყვარს...

— დღეს რაღაც სხვანაირი მეჩვენები, შვილო. — უთხრა გაოცებულმა დედამ.

— იცი, დედა, დღეს ერთი ქართველი მეთაური გავიცანი. ქალაქის საბჭოში იყო ჩვენთან. ისეთი კარგი, მოხდენილი, კულტურული ახალგაზრდაა, რომ ვერ აგიწერ... მთხოვა: თუ საღამოს თავისუფალი ხარ, წითელი არმიის სახლში წავიდეთო. წითელარმიელთა თვითშემოქმედების საღამოა, ქართული სიმღერები და ცეკვებიც იქნებაო.

მეორე დღეს მოგვიანებით გაიღვიძა ზოიამ. დედას უკვე დაელაგებინა ოთახი, ბაზარშიც ყოფილიყო და ახლა დერეფანში მწვანილს არჩევდა. ზოიამ ხალათი გადაიცვა და საწოლის გასწორებას შეუდგა. იგი კმაყოფილი იყო წუხანდელი კონცერტით, განსაკუთრებით კი ქართველი ლეიტენანტით, მისი ქართული ცეკვით, რამაც მოხიბლა მაყურებელი. ზოიას ლეიტენანტის გვარის გახსენება გაუძნელდა. სახელსაც გაჭირვებით წარმოსთქვამდა, — ელიზბარის ნაცვლად ელისბარს ამბობდა...

რუხაძეებთან გულშემოყრილი ლიდა ტროფიმენკო — ანასტასიას ძმისწული შემოიჭრა და სულმოუთქმელად ალაპარაკდა:

— გერმანია დაგვესხა თავს... დღეს გათენებისას სევასტოპოლი დაუბომბიათ... ბევრი მსხვერპლიაო ამბობენ...

— რას სულელობ, გოგო! — შეუტია ანასტასია არტემის ასულმა, — ვინ გაბედავდა სევასტოპოლის დაბომბვას, ან ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას, თავი ვის მოძულებია! საიდან მოიტანე ეგ ჭორი?

— მამიდა, ჭორი კი არა, ნამდვილი ამბავია!

თავზარდაცემული ანასტასია, ზოია და ლიდა სწორედ იმ დროს შევიდნენ ტროფიმენკოების სახლში, როცა რადიოთი გადმოსცემდნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის შესახებ...

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები სიმფეროპოლში 1941 წლის 2 ნოემბერს შემოვიდნენ, დაიწყო მათი თარეში, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, ძალადობა. განუკითხავად აპატიმრებდნენ საბჭოთა ადამიანებს, ყრიდნენ გესტაპოს ჯურღმულებში და საშინლად აწამებდნენ. ქალაქში გასვლა საშიში შეიქმნა.

ანასტასია არტემის ასულმა და ზოიამ ტროფიმენკოების ოჯახს შეაფარეს თავი. ანასტასიას ძმა — მიხეილ არტემის ძე ტროფიმენკო მეუღლით და სამი ქალიშვილით ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა. აქ უფრო მშვიდად და უშიშრად გრძნობდა თავს დედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნარგიზ ბეჟიტაშვილი, 8 წლის (გურჯაანი) „ლამაზი ქალიშვილი“

გია რიგვავა (7 წლის) „ჩემი სახლი“



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ყიფშიძე (4 წლის).



მარინე ოქროპირიძე, 6 წლის (ქარელი) „ზამთარი".



ვახტანგ კალანდაძე (8 წლის) — „ჩემი მამიდა".



ზაზა მიმინოშვილი (7 წლის).

გარეკანის მეოთხე გვერდზე —
ვანო ტოგონიძე (10 წლის) «ზამთარი».
ქეთი ოქროპირიძე (8 წლის) «ხეები».

# შევაყვაროთ ბავშვებს ხატვა

მშობლებმა, საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი სკოლების მასწავლებლებმა თავიდანვე უნდა აამოქმედონ ბავშვის ფანტაზია, დაანახონ მათ ცხოვრებაში საინტერესო თემები, საშუალება მისცენ მეტი ხატონ. კარგია მეტი ბავშვი ჩაება ხატვის მოყვარულთა წრეებში, პატარაობიდანვე ჩაესახოს სილამაზის დანახვისა და მისი გადმოცემის უნარი. ხატვა და სილამაზის შეგრძნების განვითარება კი ყოველმხრივ ამდიდრებს ბავშვის სულიერ სამყაროს, სიხარულით ავსებს მის სულს, უმატებს სასიცოცხლო ტონუსს. ჩვენი, უფროსების, ვალია გავუღვიძოთ ბავშვს კარგი გემოვნება და ემოციური გრძნობიერება, რომ ბავშვის ისედაც მდიდარი ბუნება უფრო წახალისდეს სილამაზის შექმნისათვის.

სამაგიეროდ კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი თანმიმდევრობით მოახერხებს უფროსი, ბავშვის ამ მიმართულებით წარმართვას და რა საშუალებებს გამოიყენებს საერთოდ. ესთეტიკური გემოვნების აღზრდას, ბავშვის სპეციფიკურ შესაძლებლობათა შესატყვისი ხერხების გამოყენება სჭირდება, ბავშვებს ხელმძღვანელობაც მათთვის ადვილად აღსაქმელი და გასაგები საშუალებებით უნდა გავუწიოთ.

ბავშვს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განუვითაროთ გარემოს აქტიური დანახვის უნარი, ყურადღება და მეხსიერება.

ბუნება და ცხოვრება დაუშრეტელი წყაროა სილამაზის შეგრძნებისათვის. ამიტომ ბავშვი ხშირად უნდა გავიყვანდეთ ბუნებაში და იქ მის ყურადღებას ვამახვილებდეთ ფერის, ფორმის, ხაზის, რიტმის სილამაზეზე. მზის ფერადოვანი ამოსვლა და ჩასვლა, მთების სიდიადე, ზღვის ტალღების ჭრელფარება, ფრინველების, პეპლების, ყვავილების სამყარო, ცხოველების, ქარხნების, ადამიანების, ტყის, ბაღების, შენობების სილამაზე და სხვა. მრავალი ხიბლავს ბავშვს თავისი მშვენიერებით. უნდა ვეცადოთ ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ დარჩეს გულგრილი გარემო საგნებისა და მოვლენებისადმი, იგი უნდა აკვირდებოდეს, ტკბებოდეს, ხოლო ყველაზე მოსაწონს იმახსოვრებდეს.

ყველაფერი, რასაც კი ბავშვი ყოველდღიურად ხედავს და ეხება: სათამაშოები, წიგნები, ჟურნალები, განსაკუთრებით სათუთად, გემოვნებით უნდა იყოს შერჩეული შეესაბამებოდეს ბავშვის ხედვას, ფანტაზიას. კარგად გაფორმებული საბავშვო წიგნები ჩვენში ბევრია. საჭიროა მათზე იზრდებოდეს ბავშვი.

ჭეშმარიტად მაღალი მხატვრული გემოვნების აღზრდა შეიძლება მხატვრული ნაწარმოებების სისტემატური ცქერის შედეგად. ამ შემთხვევაში მორალური და ესთეტიკური მხარე თვალნათლივ უკავშირდება ერთმანეთს. იშვიათად შეხვდებით ბავშვს, რომელსაც ფერადი ნახატი ისევე არ უყვარდეს, როგორც კარგი ზღაპარი, მისთვის ლამაზი და უშნო ისევე არ ესიტყვებოდეს ერთმანეთს, როგორც ბოროტი და კეთილი. თანდათანობით, ბავშვის ზრდასთან ერთად, უფროსი აჩვევს მას ესთეტიკურის შეფასებას. ბავშვს აჩვენებენ რამდენიმე სურათს, იგი უყურებს ამ სურათებს ადარებს ადრე ნანახ სურათებს, იწუნებს ან იწონებს მათ. უფროსი ამ დროს უხსნის თავის შეხედულებას სურათის მხატვრულობაზე, გამომხატველ საშუალებებზე, ფერისა და ფორმის სილამაზეზე. ბავშვი ნელ-ნელა ერკვევა თავის დამოკიდებულებაში სურათისადმი და თავისთვის განაზოგადებს რაღაცას. ეს კი მასში, ესთეტიკური, მაღალი მხატვრული გემოვნების გამომუშავების პირველი ჩანასახია.

კარგია თუ ოთახში დავკიდებთ რამდენიმე კლასიკოსის, ან თანამედროვე მხატვრის ნაწარმოებთა კარგ რეპროდუქციას და ხშირად შევცვლით მათ ახლით. საჭიროა ხშირად ვატაროთ ბავშვი გ[illegible]ზე, მუზეუმებში.

სილამაზეს ბავშვი მხოლოდ ჭვრეტით როდი შეიგრძნობს. მას მოთხოვნილება ებადება მოქმედების, წესრიგის, სისუფთავის, გარემოს მორთვა-გალამაზებისა. უჩნდება ინდივიდუალური მიდრეკილებების, ინტერესების გამოვლენის სურვილი. ხატვისა და ძერწვის სურვილი კი მას ადრე უჩნდება. ბავშვი ნახატით გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს, წარმოდგენებს გარემოზე, ავლენს თავის ბუნებას, განცდებსა და ინტერესებს. ხატვა ხელს უწყობს ბავშვის აზროვნების განვითარებას, უვითარებს დაკვირვებისა და დამახსოვრების უნარს, ნებისყოფას, დისციპლინას, დიდ სარბიელს აძლევს მის ფანტაზიას და უყალიბებს გემოვნებას. ბავშვი უნდა უზრუნველვყოთ სახატავი მასალით — ალბომით, ფერადი ფანქრებით, პლასტილინით, აკვარელის ფერებით. თუ ბავშვს ხატვის დროს მშობლებმა ან მასწავლებლებმა დახმარება არ გაუწიეს, მის ნახატებში ბავშვური უშუალობა თანდათანობით გაქრება და რეალობას ქაოსი შეცვლის. ასეთ დროს მათ ხშირად ეკარგებათ ხატვისადმი ინტერესი, რადგან დახელოვნება არ ჰყოფნით სიახლის ასასახავად. სიცოცხლისადმი, ფერადოვნებისადმი სიყვარული მათ შთაბეჭდილებებს უმდიდრებს, თამამადაც იმარჯვებენ ფანქრებს, მაგრამ, რაკი ტექნიკურ სიძნელეებს აწყდებიან, ხატვისადმი სიყვარული უნელდებათ. ამიტომ მოითხოვენ ბავშვები დახმარებას, მაგრამ ეს დახმარება უნდა იყოს ფრთხილი და გონიერი. ასაკის და განვითარების დონის შესაფერისი. მაგრამ აქტიური რჩევა, ბავშვის ნახატის ძალდატანებითი უხეში შესწორება მხოლოდ საქმეს აფუჭებს.

მაგალითად, ბავშვს უნდა გადმოსცეს პეიზაჟი — ყვავილოვანი მდელო მთების ფონზე. ნახატი ხარისხიანი არ გამოუდის. უფროსს შეუძლია უჩვენოს მას მისი წარმოდგენის შესაფერისი პეიზაჟის რამდენიმე რეპროდუქცია, წიგნის ილუსტრაცია, მხატვრული ფოტო, ამავე თემაზე დაწერილი ლექსი ან მოთხრობაც წაუკითხოს, შემდეგ კი ანახოს ნატურა და სიტყვიერად დააზუსტოს მთების, მდელოს მოყვანილობა, ფერადოვნება, ყვავილების შეფერილობა, მათი ელასტიურობა, სინაზე და ა. შ. ბავშვი უფროსთან ერთად ესთეტიკურ შეფასებას მისცემს პეიზაჟს და ხელმძღვანელის ზუსტი მითითებების დახმარებით ჩანაფიქრიც უფრო სრულყოფილი გამოუვა.

ბავშვს უნდა დავეხმაროთ ბუნებაში, ცხოვრებასა და ხელოვნებაში ერთმანეთისაგან განასხვავოს სიყალბე, სინამდვილე და სილამაზე, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი, რომ მან პატარაობიდანვე შეიყვაროს ხატვა და ბევრიც ხატოს.

მხატვარი
**ბუბა მიქაძე**



მანანა მალაზონია (6 წლის) — „გაზაფხული“



ლადო ასათიანი (7 წლის) „ხიდი“

ბადურ გრძელიშვილი (7 წლის) — „ჩემი სახლი“



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ლიდა ტროფიმენკო საშუალო სკოლას ამთავრებდა. სკოლაში იგი კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სკოლაში გამოცდები დამთავრდა და ომი დაიწყო. საფრთხე დაემუქრა ყირიმს, სიმფეროპოლს. დაიწყო მოსახლეობისა და ორგანიზაციების ევაკუაცია. ლიდას მამამ მიხეილმა, რომელიც სამოქალაქო ომის მონაწილე იყო და პარტიზანობდა კიდეც, ყირიმის ხელმძღვანელი ორგანიზაციებისაგან დავალება მიიღო და სიმფეროპოლში დარჩა თავისი ოჯახით.

ლიდა და მისი მამიდაშვილი ზოია რუხაძე თანშეზრდილები იყვნენ, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

— რას ფიქრობ, როგორ მოვიქცეთ, ზოია? —ჰკითხა ერთხელ ლიდამ მას, როცა ევაკუირებულნი ქალაქს ტოვებდნენ.

— კომკავშირის საქალაქო კომიტეტს მივაკითხოთ და იქ გვეტყვიან, — უპასუხა ზოიამ.

მეორე დღეს ზოია და ლიდა კმაყოფილნი გამოვიდნენ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნის კაბინეტიდან...

სიმფეროპოლის კომკავშირის საქალაქო არალეგალური ორგანიზაცია შეიქმნა არალეგალური პარტიული ცენტრის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგნენ პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი მოკროუსოვი და საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი სამოქალაქო ომის ვეტერანი, მტკიცე ბოლშევიკი ივანე კოზლოვი.

— როდესაც პარტიულ ცენტრს იატაკქვეშეთის კომკავშირული ორგანიზაციის წევრთა სია წარუდგინეს, მოკროუსოვმა დაკვირვებით ჩაათვალიერა და იკითხა:

— ზოია რუხაძე... საიდან არის ეს ქართველი გოგონა?

— სიმფეროპოლიდან.

— როგორ თუ სიმფეროპოლიდან? — განცვიფრდა კოზლოვი.

— აქაურია იგი, ივანე ანდრიას ძევ, — უპასუხა ანატოლ კოსუხინმა—საქალაქო საბჭოში მუშაობდა საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილედ. მტკიცე კომკავშირელია, უშიშარი, სერიოზული.

— სანდოა?

— უეჭველად. ისევე, როგორც მე, ბორის ხოხლოვი, სენია კუსაკინი, კოლია დოლეტოვი, ლიდა ტროფიმენკო, შურა ციურუპა და ზოია ქილცოვა.

ზოია აირჩიეს იატაკქვეშელთა კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს საგიტაციო ჯგუფის წევრად. მას დაავალეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობების გამრავლება და მოსახლეობაში გავრცელება.

ყოველ დილას, ქალაქის ცენტრში —პუშკინისა და კარლ მარქსის ქუჩების კუთხეში, სადაც ჩვეულებრივ ბევრი ჰიტლერელი იყრიდა თავს, კედლებზე მოულოდნელად გაჩნდებოდა ხოლმე საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები. ეს ზოია რუხაძის ნახელავი იყო. მან იმდენი მოხერხებულობა და გამბედაობა გამოიჩინა, რომ საინფორმაციო ბიუროს ცნობები გერმანელთა თვითმმართველობის შენობის კედლებზეც კი მიაკრა.

* * *

1943 წლის შემოდგომის ერთ საღამოს იატაკქვეშეთის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ბორის ხოხლოვმა ორგანიზაციის ბიუროს წევრები მიიწვია თავისთან ბინაზე.

— მიღებულია პარტიული ცენტრის დავალება, რაც უახლოეს დროში უნდა მოვიყვანოთ სისრულეში. სანამ დავალებათა განაწილებას შევუდგებოდეთ, გთხოვთ მოუსმინოთ პარტიზანული შტაბის წარმომადგენელს.

— უპირველეს ყოვლისა, — დაიწყო პარტიზანული შტაბის წარმომადგენელმა, — ნება მომეცით გადმოგცეთ, რომ ჩვენი პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელობა კმაყოფილია თქვენი ორგანიზაციის მუშაობით. უახლოეს დროში მოსალოდნელია წითელი არმიის შეტევითი ოპერაციები ყირიმის მთელ ტერიტორიაზე. მტერი შეეცდება ათასგვარი ჭორი გაავრცელოს და ხალხს განთავისუფლების იმედი გაუქარწყლოს. ამიტომ თქვენ მეტი სიფხიზლე მოგეთხოვებათ. მოსახლეობის ფართო ფენებში უნდა გაჰფანტოთ ჰიტლერელთა ყოველგვარი მონაჭორი...

ასი თვალი გამოიბით და ასი ყური. გახსოვდეთ: მტერი ცბიერი და ვერაგია. სიფხიზლის ოდნავ მოდუნებას შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოჰყვეს. მკაცრად შეამოწმეთ ორგანიზაციაში შემოსვლის თვითეული მსურველი. თქვენ ახლა მეტად სერიოზული მუშაობა მოგელით. საჭიროა მოაწყოთ არალეგალური სტამბა ფურცლების დასაბეჭდად...

შემდეგ მან წიგნაკებად აკინძული ფურცლები ჩამოურიგა ყველას და თან დააყოლა:

—„დიდი მიწიდან“ თვითმფრინავით ჩამოგვიტანეს. ეს არის პატარა მოთხრობა კრასნოდონელ კომკავშირელთა გმირობაზე.

პარტიზანი ყველას გამოემშვიდობა, იატაკქვეშელ კომკავშირელებს წარმატება უსურვა. როდესაც ზოია რუხაძეს ხელი ჩამოართვა, ღიმილით უთხრა:

— გავიგე ქართველი ყოფილხართ. მესიამოვნა. მეც ქართველი ვარ...

— ქართველი? — აღტაცებით შესძახა ზოიამ, — მერე და რა გვარი ხართ?

— გვარი რა საჭიროა? — გაიღიმა მან,— ისე კი სერგოს მეძახიან.

* * *

სიმფეროპოლის ქუჩებში გაჩნდა ნაბეჭდი ფურცლები მოსახლეობისადმი მოწოდებებით. გერმანელთა რომელიღაც გენერალს პუშკინის ქუჩაზე მანქანაში ბომბი ესროლეს. ქალაქის თვითმმართველობის შენობის თავზე წითელი დროშა აафრიალეს, საბჭოთა მეურნეობა „კრასნში“ გერმანელთა იარაღის საწყობი ააფეთქეს. ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა გერმანელთა პატრულების „დაკარგვა“ ღამით.

ამ ოპერაციებში ლიდა ტროფიმენკოსთან და სხვებთან ერთად გაბედულად მონაწილეობდა ზოია რუხაძე. მან გაიტყუა ერთი ფაშისტი ლეიტენანტი ქალაქგარეთ ღამით და ამხანაგების დახმარებით მოუღო ბოლო, თანაც ძვირფასი დოკუმენტები ჩაიგდო ხელში.

არავითარ ხიფათს არ ერიდებოდა ზოია. ტყვე წითელარმიელებისათვის მოსახლეობაში აგროვებდა ტანსაცმელს, სურსათ-სანოვაგეს და ნორჩი პარტიზანების მეშვეობით აწვდიდა მათ ეკლიანი მავთულის მიღმა...

გამარჯვება კარზე იყო მომდგარი. ზოია და მისი ამხანაგები მთელი მგზნებარებით ემზადებოდნენ ამ სანუკვარი დღისათვის. მაგრამ მოხდა გამოუსწორებელი რამ. გესტაპოს აგენტებმა დოსიჩევმა და მისებრ მოღალატეებმა გასცეს იატაკქვეშეთის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგები.

ზოია დააპატიმრეს ყირიმის განთავისუფლებამდე ერთი თვით ადრე, 1944 წლის 10 მარტს. გესტაპოელებმა იცოდნენ, რომ ზოია რუხაძე სიმფეროპოლის იატაკქვეშეთის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვში შედიოდა და აქტიურ ბრძოლას ეწეოდა ოკუპანტთა წინააღმდეგ.

ჯალათებმა გრძნობის დაკარგვამდე სცემეს ზოიას რკინის შაიბიანი რეზინის მათრახებით, თითები გადაუმტვრიეს, მაგრამ ვერაფერი ათქმევინეს. გაცოფებულმა ჰიტლერელებმა ორივე თვალი დასთხარეს ქალიშვილს. ბრმა, სისხლისაგან დაცლილი, ტანსაცმელშემოხეული ზოია ამაყად იდგა ჯალათების წინაშე და მტკიცედ ამბობდა: „სულ ერთია, თქვენ ჩემგან ვერაფერს გაიგებთ“. მას მოსჭრეს ტუჩები...

„ახლავე დაგხვრეტთ, თუ არ დაასახელებ შენს ამხანაგებს,“ — არ ეშვებოდნენ მსხვერპლს გარეწრები.

„მომკალით, სულ ერთია, არავის არ დავასახელებ... თქვენი დღეებიც დათვლილია“... ხროტინით წარმოსთქვა ზოიამ უკანასკნელად. გაცოფებულმა კაცისმკვლელებმა ხელები მსხვილი მავთულებით შეუკრეს მამაც ქალიშვილს, ჭასთან მიიყვანეს და ხელი ჰკრეს...

* * *

პატარა მაგიდაზე, ზოიას პორტრეტთან აწყვია ზოიასეული ნივთები: ბავშვობისას შეჭრილი ნაწნავები, ფეხსაცმელები, ფოტოსურათები, მეგობრების წერილები, აგრეთვე საყურეები, რომლებიც დაბადების დღეს მისთვის მამას უსახსოვრებია. აქვე დევს ზოიას მეგობრების მიერ ანასტასია არტემის ასულისათვის მიძღვნილი ივანე კოზლოვის წიგნი „ყირიმის იატაკქვეშეთში“ წარწერით:

„ზოიას დედიკოს!

ზოიას სამახსოვროდ, რომელიც კი არ მომკვდარა, არამედ ცოცხლობს ათასობით და ათიათასობით ქალიშვილებისა და ჭაბუკების გულებში.

ისეთი ადამიანებისათვის, როგორიც ზოია იყო, მხოლოდ ერთი თარიღი არსებობს — დაბადების თარიღი, რადგან მ ა თ ი ხ ვ ე დ რ ი უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა ა“.

ა. კოკილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გახდეს. დილისთვის კონსილიუმი იქნება...“

...ქსენონიდან ორი საათის შემდეგ გამოდის. დღესავით განათებული ოთახის შემდეგ მაისის ვარსკვლავიანი ცა განსაკუთრებით მაღალი და თვალშეუდგამი ეჩვენება. პაპიროსს უკიდებს და კაბინეტისკენ მიდის, მაგრამ გზაზევე აქრობს და სტაციონარში ბრუნდება: წუხელ მოყვანილს უნდა დახედოს.

განყოფილებაში მორიგე ექიმს ხვდება და ორივენი პალატისკენ მიდიან. ბავშვს მშვიდად სძინავს. ახალგაზრდა დედა ლოგინში ფეხმორთხმით ზის და საწოლს თვალს არ აშორებს. მთავარი ექიმი ხელს ხელზე ალერსიანად უსვამს „ხომ კარგად არის შენი ბიჭი, არა?“

პალატიდან გამოსულს თან გამოჰყვება მადლიერი თვალების მზერა.

* * *

ეს მზერა ბუნდოვნად ვიღაცას აგონებს. ჰო, ის ხევსური გოგონა, სამი თვის ბავშვით რომ მოვიდა საავადმყოფოში! ბავშვი მძიმე ავადმყოფი იყო. აქ დიდხანს იყვნენ და ამ ხნის განმავლობაში იმათთვის არავის მოუკითხავს. ერთხელ გამოელაპარაკა. ქალმა ტირილი დაიწყო. „მამა? არა, ბავშვს მამა არა ჰყავს. მამამ მასზე უარი სთქვა. მშობლებმა სახლში აღარ შემიშვეს, — „უკანონო“ შვილიშვილი არ მიიღეს. ჰოდა, მარტონი დავრჩით“...

ბავშვი დასუსტებული იყო და ძალიან ნელა იკეთებდა. მთავარმა ექიმმა გაიგო, ვინ იყო მამა. გამოიძახა. ვაჟი მოვიდა — არ იცოდა, რისთვის იბარებდნენ. ბავშვი აჩვენა, ესაუბრა, გული მაინც ვერ მოუბრუნა.

მეორედაც გამოიძახა, მესამედაც. ბავშვმა რომ მოიკეთა, ჩასვა დედა-შვილი მანქანაში და თვითონ მიჰგვარა სახლში. მისი მოერიდა? შერცხვა? ან იქნებ დაგვიანებული სინდისის ქეჯნა იგრძნო? ასე იყო თუ ისე, ახლა ბედნიერად ცხოვრობენ, მათ ამბავს ახლაც გებულობს ხოლმე მთავარი ექიმი.

...სად იწყება მკურნალის მოვალეობა და სად მთავრდება? თუ როგორც სამუშაო დღე, იწყება, მაგრამ არასოდეს მთავრდება?..

* * *

კიბეებიდან რომ ჩამოდის, ხედავს: ალაყაფის კარი იხსნება და მსუბუქი მანქანა საბურავების შრიალით ეზოში შემოდის. მანქანის კარი იღება და ისევ თეთრხალათიანი, ხელში ბავშვით, სირბილით მიდის ქსენონისკენ. დავით იაშვილი თეთრხალათიანს ეწევა:

— ბატონო დავით! მძიმე შემთხვევაა...

კაბინეტში აღარ მიდის და ქსენონის კარს აღებს. ციცინო ისევ იმ ბავშვთან ტრიალებს. მთავარი ექიმის დანახვაზე ეღიმება. ის კი კვლავ ხელსაბანთან დგება და ხელებს ისაპნავს. სახლში წასვლაზე უკვე აღარ ფიქრობს.

რადგან აქ ყველა შემთხვევა განსაკუთრებულია...

**ნანული ბარათაშვილი**



# ჩვენი თამარი

ათი წლისა იქნებოდა, როცა მათი ოჯახი თელავიდან თბილისს გადმოსახლდა; ჩუმ, მოკრძალებულ, ბეჯით გოგონას მისმა პედაგოგმა დებმა ელენემ, ნინო, მარიამმა, და მართამ გზა თავიანთი პროფესიისაკენ გაუკვალეს.

მთაწმინდისუბნელები დღეში რამდენჯერმე ხედავდნენ დაღმართზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალ შავგვრემან ქალიშვილს, რომელიც ან გაკვეთილებზე, ანდა რომელიმე საზოგადოებრივი დავალების შესასრულებლად მიიჩქაროდა. თამარი ახლა სიამაყის გრძნობით იგონებს თავის სახელოვან ნამოწაფრებს: დ. გედევანიშვილს, რ. ნათაძეს, არ. ქურდიანსა და სხვებს.

მართალია, თამარი პედაგოგიურ საქმიანობას მთელი მონდომებითა და სითბოთი ეკიდებოდა, მაგრამ გულში მაინც ფარულად ატარებდა მედიცინისადმი სიყვარულს, ამიტომაც იყო, რომ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის თამარიც გახლდათ. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში ფეხს იდგამდა მეცნიერული ფსიქიატრია, რომლის მამამთავარი — მ. ასათიანიც სათანადო კადრებს არჩევდა. მალე ფსიქიატრიული საავადმყოფოს კარი ორმა ახალგაზრდა ქართველმა ექიმმა ქალმა თამარ შიუკაშვილმა და ნინო ვეშაპელმა შეაღო.

თამარმა სულ მოკლე ხანში დიდი ნდობა და ავტორიტეტი დაიმსახურა; მისი მორიგეობის დროს საშუალო და დამხმარე პერსონალი თითის წვერებზე იდგა. ექიმის მაგალითის წამხედვარე, ღამე თვალის წალულვასაც კი ვერავინ ბედავდა.

1930 წელს პირველი ქართული სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში თამარ შიუკაშვილის ავტორობით გამოვიდა.

თამარი ახლა სიხარულით შეჰყურებს ქართველ ფსიქიატრთა ნიჭიერ პლეადას, რომელსაც აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი მეთაურობს.

ა. ზურაბაშვილმა ამას წინათ გამართულ თ. შიუკაშვილის იუბილეზე სიამოვნებით მოიგონა ის დრო, როდესაც თამარი წვრთნიდა მას — ჭაბუკ კლინიცისტს და თან ფრანგული ენის გაკვეთილებსაც აძლევდა.

„რა მქონდა, სთქვა ზურაბაშვილმა, — რითი ამენაზღაურებია მისი შრომა. ანდა აიღებდა კი რამეს?! თამარი ხომ სხვებსაც უსასყიდლოდ ამეცადინებდა ენებში. მახსოვს, ერთხელ, მასთან მივდიოდი გაკვეთილზე. ხელში თაიგულით ჩემსკენ მომავალ, ახლადგაწერილ ავადმყოფს მოვკარი თვალი. ავადმყოფი ფიზიკურად ძლიერი და დაუნდობელი იყო. შევშინდი, მაგრამ ტყუილუბრალოდ, მან შორიდანვე გამომიწოდა ყვავილების კონა და გვერდი ღიმილით ჩამიარა. მამადავითის აღმართი სულმოუთქმელად ავირბინე და თაიგული თამარს მივართვი“.

ასევე თბილი მოგონებებით გამოვიდნენ იმ საღამოზე პროფესორები: ი. მენთეშაშვილი, ე. გობრონიძე, ლ. ნაკაშიძე და სხვები.

თამარი კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურება, მას გვერდს უმშვენებს მეუღლე, რომელიც ასევე მხნედაა და მთელი მონდომებით ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ჩუმად, უხმაუროდ დათესილმა ამაგმა თავისი ნაყოფი გამოიღო: ხალხმა, მეგობრებმა და ამხანაგებმა შეიყვარეს იგი, მთავრობამ ჯეროვნად შეაფასა მისი ღვაწლი და 1957 წელს დამსახურებული ექიმის წოდება მიანიჭა, იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

1946 წელს თამარი პარტიის რიგებში შევიდა.

1956 წელს თამარი საკუთარი სურვილით პენსიაზე გავიდა. მაგრამ გული კვლავ ახალგაზრდულად უცემს და ფიქრით კვლავ თავის საყვარელ საქმეს დასტრიალებს.

**ბ. სვანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ



# ბავშვებთან

ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძე) საშუალო სკოლის დერეფნებში პირველი სექტემბრისათვის ჩვეული ჟივილ-ხივილი იდგა.

— ისტორიის ახალი მასწავლებელი! ახალი მასწავლებელი! — ხმამაღლა დაიძახა ნაწნავიანმა გოგონამ. საკლასო ოთახში შევარდა და პირველ მერხზე დასკუპდა.

აჩხმაურებული კლასი ახალგაზრდა ქალის სასიამოვნო ხმის გაგონებაზე ერთბაშად დაწყნარდა და გაინაბა.

ელენე სოლომონის ასულ გეგიაძეს პირველად ეჭირა ხელში საკლასო ჟურნალი და მღელვარების დაფარვას ცდილობდა.

მაშინ, საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგის თვითეულ სიტყვას მაგიური ძალა ჰქონდა. რას აღარ ეკითხებოდნენ ელენე მასწავლებელს! განა მარტო ისტორიის ცოდნას სთხოვდნენ! ნათელ მომავალზე ოცნებასაც მას უზიარებდნენ. ამიტომაც იყო, რომ შესვენებებზე ბავშვებთან საუბრით გართული ქალი, სამასწავლებლოს კარებს ვეღარც კი აღწევდა. მახარაძიდან ელენე საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. ეს ის წლები იყო, როცა აჭარელი ქალები თავს აღწევდნენ მოლების გავლენას და ცხოვრების ფართო გზაზე გამოდიოდნენ. ელენე გეგიაძეც ამ დიდი სახალხო საქმის სამსახურში იდგა.



გავიდა ხანი. სკოლაში მუშაობის გამოცდილებით შეიარაღებულმა ელენემ თბილისის პედაგოგიკის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. წლების განმავლობაში გულდასმით შეისწავლა ბავშვის ურთულესი ბუნება, ისტორიის სწავლების მეთოდები. და როცა დიდ ცოდნას პედაგოგიური სრულყოფა დაემატა, თბილისის 37-ე საშუალო სკოლის დირექტორობა შესთავაზეს.

უკვე ოცი წელია, რაც ელენე გეგიაძე სკოლის უცვლელი დირექტორია. გაკვეთილების დამთავრება ელენესათვის დიდი ხანია აღარ ნიშნავს სამუშაო დღის დასასრულს. მერე რა, რომ სკოლაში სიჩუმეა და ბავშვები სახლებში არიან! დიდი ოჯახია სკოლა — ათას ორას მოსწავლეს ითვლის, და აბა საქმეს რა დალევს! რამდენი სხვადასხვა ბუნების ბავშვია, რამდენს სჭირდება მისი გამოცდილი ხელი, რომ ყრმობის ანცობა დანაშაულად არ იქცეს.

მაშინ, როცა დირექტორობას მოჰკიდა ხელი, სკოლას ერთი შენობა და ხრიოკი ეზო ჰქონდა. ვიწროდ იყვნენ. საკლასო ოთახებიც ძლივს ჰყოფნიდათ. ბევრი, ძალიან ბევრი შრომა დასჭირდა ჯაფადაუზოგველ ქალს, ვიდრე სკოლის ადრინდელ შენობას გვერდში მეორე შენობა არ ამოუყენა, ვიდრე კაბინეტები, კლუბი, სპორტული დარბაზი სანაქებოდ არ მოაწყო.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ელენე გეგიაძე აუცილებლობამ სამშენებლო და სამიწათმოქმედო საქმეებშიც ჩაახედა.

როგორც კი ნაზამთრალი მიწა თოვლის საბანს გადაიძრობს, ბავშვების ხელით დარგული ყვავილებით მოიხატება სკოლის ეზო. არ შეიძლება ალტაცება არ მოგგვაროთ მოსწავლეთა ხელით გაკეთებულმა ნივთებმა, კაბინეტებისათვის საჭირო ხელსაწყოებმა, პატარა მხატვრების მიერ დიდი სიყვარულით შესრულებულმა ნახატებმა.

ელენესთან ხშირად ნახავთ მშობლებს, შვილის აღზრდის თაობაზე რომ ეთათბირებიან. როგორც მშობელი, წინათ თვითონაც მოკრძალებით მიდიოდა მასწავლებლებთან თავისი სამი შვილის ამბის გასაგებად. უმამოდ დარჩენილ შვილებს ორმაგი ზრუნვა სჭირდებოდა და დღე რომ არ ჰყოფნიდა, ღამეებს ტეხდა დედა. ღამეების ტეხვაში გაჩენილ ნაოჭებს სახეზე დღეს შვილიშვილის ხელები აქრობს.

ბავშვები — ამ სიტყვას ვერ დააშორებთ ელენე სოლომონის ასულ გეგიაძის ცხოვრებას.

ეთერ კეჟაღმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რკინიგზელთა შვილებისათვის

იდგა 1942 წელი. ჩვენი ჯარების მიერ დროებით დატოვებული ქალაქებიდან ევაკუირებული მოსახლეობა ზურგისკენ მიჰყავდა მატარებლებს.

ევაკუირებულნი ჩამოდიოდნენ თბილისშიც. ნავთლუღის ბავშვთა განმანაწილებელი პუნქტი ყოველდღე ასობით უპატრონო ბავშვს უღებდა კარს და რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და ბაღებში აგზავნიდა.

ერთ საღამოს განმანაწილებელი პუნქტიდან რკინიგზის მე-8 სადღეღამისო საბავშვო ბაღის გამგეს ვალენტინა შატბერაშვილს აცნობეს: მძიმე ავადმყოფი ბავშვი გვყავს, სასწრაფოდ თქვენთან გადაიყვანეთ, თორემ დილამდე დაიღუპებაო.

ვალენტინამ ჩონჩხადქცეული გოგონა რომ დაინახა, გული მოუკვდა. „რა ძალა გამოაჯანმრთელებს მას?“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა.

პატარა ირა დოლგოშევას ჭირკვლები გაღიზიანებოდა. ბავშვს მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. ფეხზე დადგა ბაღის მთელი კოლექტივი. მოკეთება რომ დაიწყო, გოგონა კურორტ ტბაზე წაიყვანეს. წიწვნარმა და განსაკუთრებულმა კვებამ საბოლოოდ განკურნა ნორჩი ორგანიზმი.

1944 წელს ირა დოლგოშევა გულთბილად გამოემშვიდობა საბავშვო ბაღს და დედასთან ერთად განთავისუფლებულ კიევში გაემგზავრა.

ომის მძიმე წლებში საბავშვო ბაღმა მიიღო და შეიფარა ვალია ლასკუტი, ნინა შევჩუკი, იური კლეიმანი და მრავალი სხვა, სულ 112 ბავშვი. მაშინ ჩამოყალიბდა უპატრონო ბავშვთა ჯგუფი, სადაც აღსაზრდელები სასკოლო ასაკამდე იმყოფებოდნენ, მერეკი ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლში მიჰყავდათ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა...

მე-8 საბავშვო ბაღში ახლა რკინიგზელთა შვილები იზრდებიან. ბაღი დაახლოებით 200-მდე ბავშვს ემსახურება. ჯგუფები დაკომპლექტებულია ასაკის მიხედვით.

საბავშვო ბაღს აქვს შესანიშნავი შენობა და კარგი ეზო. გაზაფხულზე აქ მრავალნაირი ხეხილი ყვავის. შემოდგომაზე ყურძნის ხეივნებში მტევნები მძიმდება. მწვანილი და ბოსტნეული ხომ არასოდეს არ ილევა. აღმზრდელები ბავშვებს ასწავლიან ნარგავების მოვლას, ბოსტანში მუშაობას.

საბავშვო ბაღს ოთხი იზოლირებული შესასვლელი აქვს, ე. ი. ყველა ჯგუფს გააჩნია საკუთარი გასახდელი, სამუშაო, სასადილო და საძინებელი ოთახები. კვების ბლოკი მოთავსებულია ეზოში, სპეციალურად აგებულ ლამაზ შენობაში. თვითეული ჯგუფი მოკირწყლული ბილიკით უკავშირდება სამზარეულოს, საიდანაც ღებულობს გამზადებულ კერძებს. კერძები გემრიელია და მაღალპროდუქტიული. მომმარაგებელი ნადია ვაშალომიძე ენერგიული და დაუზარებელი მუშაკია, ის ყოველთვის ზრუნავს მოამარაგოს ბავშვები მაღალხარისხოვანი პროდუქტებით.

საბავშვო ბაღი წელს სკოლაში 36 ბავშვს გაუშვებს. ამ ასაკის ჯგუფთან მეცადინეობს ოლღა ჩიხლაძე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. მისი მიზანია მიაჩვიოს ბავშვები სასკოლო ქცევის წესებს, შეკითხვებზე პასუხის გაცემას, ხელის აწევას, ათქმევინებს ლექსებს, ზრუნავს მათი დიქციის განვითარებისათვის.

მე-8 საბავშვო ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ჯანმრთელობას. ექიმი პელაგია ბერძენიშვილი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ რაიმე სნეულება არ შეეყაროთ პატარებს.

საბავშვო ბაღს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული მშობლებთან. მშობლები აღმზრდელებთან ერთად ზრუნავენ ბაღის საჭიროებისათვის, აწყობენ შაბათობებს, ასუფთავებენ ეზოს, უვლიან მცენარეებს, რგავენ ახალ ნერგებს.

მე-8 საბავშვო ბაღი დიდი ხანია მეგობრობს ლენინგრადის № 41 საბავშვო ბაღთან, წერენ ერთმანეთს წერილებს, უზიარებენ გამოცდილებას, უგზავნიან ამანათებს.

* * *

34 წელია რაც ვალენტინა შატბერაშვილი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი რამ კარგი გააკეთა პატარებისათვის.





ვალენტინა შატბერაშვილი ყველა საკითხს მასწავლებლებთან შეთანხმებით სწყვეტს, სისტემატურ კავშირშია მშობლებთან, ატარებს მათთვის ბავშვთა აღზრდის საკითხებზე ღია დღეებს და კონსულტაციებს. იგი პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ყოველთვის ახერხებს საზოგადოებრივ დავალებათა პირნათლად შესრულებას. რამდენჯერმე იყო არჩეული საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

* * *

უმცროსი ჯგუფი სამი-ოთხი წლის გოგონებითა და ბიჭუნებითაა დაკომპლექტებული. მათი აღზრდა ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ გამოცდილმა პედაგოგმა ნუნუ მებადურმა თავისი მუშაობის 16 წლის მანძილზე კარგად შეისწავლა პატარების ფსიქოლოგია. იცის, რომელ ბავშვს როგორი მიდ-



გომა უნდა, იცის, რომ პატარებთან მუშაობაში მთავარი მაინც ალერსი და დაყვავებაა.

მთელი დღე დატვირთვით მუშაობს პედაგოგი. 35 ბავშვის მოვლა-პატრონობა არც ისე ადვილია. როცა ბავშვებს სძინავთ, დეიდა ნუნუ დროს დახეული წიგნებისა და დაზიანებული კუბიკების შესაკეთებლად იყენებს, კაბებს უკერავს თოჯინებს; ხოლო ცალი თვალი ბავშვების საწოლებისკენ უჭირავს, რომ რომელიმემ საბანი არ გადაიძროს

* * *

საშუალო ჯგუფის ბავშვებმა პიესის — „ციყვი და ყვანჩალას" — ინსცენირება მოაწყეს. მათ ამ საქმეში პედაგოგები — შუშანა გულარია და თამარ ვაჩეიშვილი დაეხმარნენ. შუშანა გულარია მარტო მხატვრულ აღზრდას არ აქცევს ყურადღებას, მისი ჯგუფის აღსაზრდელები კარგად ფლობენ კულტურული და ჰიგიენური ქცევის წესებს. ბავშვებმა იციან უფროსების შესვლისას ფეხზე ადგომა, მისალმება და გამოთხოვება, თავიანთი ტანსაცმლის მოვლა-მოწესრიგება, სათამაშოების გაფრთხილება, ოთახში სისუფთავის დაცვა...

პატარებში შრომითი ჩვევების გამომუშავებისათვის ჯგუფს აქვს ბუნების კუთხე, სადაც თავიანთი ხელით თესენ სხვადასხვა მცენარეებს, აწარმოებენ დაკვირვებას მცენარის ზრდა-განვითარებაზე. გაზაფხულზე ისინი მიწის ნაკვეთზე მუშაობენ. მათი მოწეული ბოსტნეულით ზოგჯერ მზარეულებიც სარგებლობენ გემრიელი კერძების დასამზადებლად.

* * *

საბავშვო ბაღში რუსული ჯგუფიცაა, რომელიც შერეული ასაკის ბავშვებითაა დაკომპლექტებული. მარია მოსესოვა თავისი ნიჭითა და ბეჯითი სწავლით ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოირჩეოდა. ახლა იგი მთელ ცოდნას და მონდომებას ბავშვების აღზრდას ახმარს.

შრომითი ჩვევების დანერგვის მიზნით ჯგუფში დაწესებულია მორიგეობა. პატარა დიასახლისები თეთრ ქუდებსა და წინსაფრებში მომხიბვლელად გამოიყურებიან, მათი ყოველი მოძრაობა და საქმიანობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. აი, სადილობის დრო დადგა: პატარა მორიგემ ჯერ პურის თეფშები ჩამოარიგა მაგიდებზე, მერე ხელსაწმენდები დააწყო.

გულისხმიერი პედაგოგი თავის კოლეგასთან — ამავე ჯგუფის მეორე ცვლის პედაგოგ ნინო ჟუჟუნაძესთან ერთად თვალყურს ადევნებს ბავშვების სადილობას.

* * *

ვინ მოსთვლის რამდენი კარგი და მისაბაძი ბავშვი გაზრდილა აქ, პატარებით ახმაურებულ, მწვანეში ჩაფლულ ამ სახლში, და კიდევ რამდენი ახალი თაობა აღიზრდება.

ნანული ბუკია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალვანური საღამოები



## გაზაფხული

გაზაფხული კახეთში რიხით მოდის და აცოცხლებს ირგვლივ ყველაფერს.

— თინა, აუ, თინა!

— გამოდი კარზე. მზია!

ყვირიან ეზოების წინ, ღია, დაკეტილ ჭიშკრებთან, თუნგიანი ქალების ჯგუფთან, შუკების დასაწყისში, წყაროზე.

— ესმა, წავიდეთ.

ქააძეების კარებთან დაიძახებს გოგო და დაწნულ კალათას ბოგირზე ჩამოდებს.

ეზოდან გამოცქრიალდება ესმა, მეგობარს თავის კალათას მიაჩეჩებს, თავზე თავშალს წაიკრავს და მერე მოუყვება, რა იყო გუშინ საღამოს, როცა ერთმანეთს დაშორდნენ:

ესმა გვიანობამდე იჯდა ღია ფანჯარასთან. გარედან ისმოდა როგორ სრიალებდა ნიავი ფოთლებზე. ცაზე გაჯსილიყო მთვარე და ესმას თავისკენ იტყუებდა.

— ვიკითხე, ვიკითხე და გავანებე თავი, — თქვა და გაიცინეს, რიგრიგობით გადაახტნენ პატარა ღელეს, კოლმეურნეობის თუთის პლანტაციაში შევიდნენ და ფოთლის კრეფა დაიწყეს.

შუადღეზე გოგოებმა მწვანე კალათები გამოატარეს. გამვლელებმა მოუხედეს. მზე მოკიდებოდა ორივეს. გზაზე ბიჭებმა ჩაიარეს და ერთმა დიდხანს არ მოაშორა თვალი ესმას. გოგოს ოქროსფერი თმა გასჩეჩოდა, სახე აწითლებოდა და კაბა ერთ ღილზე შეეხსნა კისერთან.

— მე რომ მკითხო, მაგ კალათას სულ არ მოგცემდი. მე რომ მკითხო, არც მზეს გავაშავებინებდი შენს თავს...

შეჩერდი, ესმა და მოუსმინე, რას ფიქრობენ შენზე. შენ ხომ გიყვარს წყნარ საღამოებში ფიქრი. შენ ხომ ოცდასამი წლისა ხარ, ესმა!

შუადღეა და ამიტომ გოგო არაფერს ფიქრობს. ის მეგობარს კისკისით შორდება და მარტო გარბის თავის სწორ ქუჩაზე. ჭიშკართან იხსნის თავშალს, სახეზე ცივ წყალს ისხამს და ოთახში შედის. აქ აბრეშუმი უზის ესმას. მურს ძალიან წვრილად დაჭრილ ფოთოლს უყრის. ერთი კანის შემდეგ უფრო მსხვილად შეიძლება ფოთლის დაჭრა. ზოგი ორი კანის შემდეგ სულაც არ ჭრის ფოთოლს, ესმა კი ორი კანის მერეც ჭრის.

მისი სურათი სოფლის საბჭოშია გამოკრული. სურათს მოწინავე მეაბრეშუმე აწერია ქვეშ. ესმამ წელს რომ გადამეტებით არ ჩააბაროს პარკი, მის სურათს ჩამოხსნიან. იქნება არც ჩამოხსნან, დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტიაო და ამით გაამართლონ, მაგრამ ესმას სწავლისათვის ხომ საღამოები აქვს, ჭიას კი დღისით უვლის. ხუთი კანის შემდეგ ტოტებს შემოაწყობს, მერე ჩელტებს დაჰკიდებს სართულებად, ნიშანი გაჩნდება და ცახებს დადებს ირგვლივ, რომ ჭია არ გადმოვარდეს და ძაფი არ გაუწყდეს. მერე ცახები შუალედებშიც მოთავსდება. პარკს რომ მოიწევს, ესმას თავისუფალი დღეები ექნება და მთაში წავა მამასთან. მთაში მამა კოლმეურნეობის ცხვარს უვლის. ფარსმა მათი სოფელია. იქ ესმა გაიხსენებს ბავშვობას.

...მთის დაკლაკნილ ბილიკზე გაიბნეოდა მგზავრების უწყვეტი ჯაჭვი. ცხენით თუ ფეხით ყველანი ხატში გაეშურებოდნენ. სურსათსანოვაგით დაბარგულ ცხენებზე ჭრელი ხურჯინები ეკიდა, რომელთა თვლებში ბავშვები ისხდნენ. ახალგაზრდები კოხტად შეკაზმულ ცხენებს მოაჯირითებდნენ. ისმოდა შეზარხოშებულთა სიმღერა და ღრიანცელი. მერე ღამისთევა იწყებოდა. ესმა ყოველთვის ჩაიძინებდა ამ დროს.

დილით გრძელდებოდა მლოცველების სმა და ლხინი. მერე მამაკაცები ხელებს გადააჭდობდნენ ერთმანეთს მხარზე და წრეს გააკეთებდნენ. მათზე ავიდოდა მეორე წრე და ასე შეკრული წრეები სიმღერით დაიძრებოდნენ ხატისკენ...

მალე თუშის გოგო თბილისში ჩამოვა ლექციების მოსასმენად. ის ნაცნობ ქალთან დაბინავდება, როგორც ყოველთვის. ლექციების შემდეგ შესვენებაზე ამხანაგები მოაყოლებენ, როგორი დღესასწაულები იცოდნენ თუშებმა მთაში და რატომ ჰქვიოდა მათ ხატობას „ათნიგენობა".

კახეთში ჯერ მხოლოდ გაზაფხულია და ალვანში თბილი საღამოები დგას.

## კედლებმა დაიწყეს სიცილი

თვითმფრინავიდან ზემო ალვანი ჭადრაკის დაფას ჰგავს. ცხრა პარალელურ ქუჩას პერპენდიკულარულად კვეთს შვიდი ქუჩა. ეზოებს ღონიერი კაცის ხელი ატყვია. ეზოებში არის ყველა სახის ხეხილი, ვაზი, სიმინდი. თუშებს ქალაქის ტიპის სახლები აქვთ. აქ ყველა სახლი ორსართულიანია და ისეა ჩადგმული, რომ ქუჩისკენ იხედება. 1923 წლამდე აქ დაბალი სახლები იყო, ტყის ფერდობებზე მიყუჟული. 1924 წლიდან დაიწყო სოფლის გეგმიური დასახლება ვაკე ადგილზე. ორი წლის შემდეგ შვიდწლიანი სკოლა გაიხსნა. ამას მოჰყვა სასოფლო სამკითხველო, საექიმო უბანი. სოფელში წყაროს წყალი გამოიყვანეს და 1930-35 წლებში კოლექტივიზაცია გატარდა. 1937 წელს ალვანს საშუალო სკოლა შეემატა. ალვანელები ფიქრობდნენ, რომ ჩვენია ყველაფერიო და ომი დაიწყო. ათასსამოცდაათკომლიანმა სოფელმა თითო კაცი მაინც გააცილა ოჯახიდან. მოხუცმა მთიელებმა გაზეთის მოლოდინი დაიწყეს და სამკითხველოებში ჩამოსხდნენ. სამკითხველოში ანიკო ყიზილაშვილი გაზეთებს პირველი გადაიკითხავდა და როცა კარებთან მოსულები ჯოხებს აბაკუნებდნენ, 18 წლის გოგო თვალებს ხრიდა და თამბაქოს ბოლში გახვეულ სახეებს არ უყურებდა.

— აბა, ბიძი, წაიკითხე რა არის ახალი?

— გუშინ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქები...

სამკითხველოდან ეს ამბები სახლებში გადადიოდა და ღამით ქარისაგან გათოშილ გოგოს ავადმყოფ მამასთან სიმართლე არ მიჰქონდა.

მერე ანიკომ სასიხარულო ამბების კითხვა დაიწყო. ამ ამბების არავის ეშინოდა და გრძელ სკამებზე დიდხანს ისხდნენ. ომი რომ გათავდა, 120 ვაჟკაცი არ დაბრუნდა სოფელში და დაღუპულთა ოჯახები მაინც ისხდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკითხველოში. სადღაც ყველას კარგი ამბის იმედი შემოენახა და ანიკოს აკითხავდნენ ამ ამბისათვის. მაგრამ შინ მოუსვლელების შესახებ გაზეთები ვერაფერს წერდნენ.

ომის მთელი სიმძიმე ანიკომ ამ პატარა ოთახში გადაიტანა, წარბშეკრულ და მდუმარე ადამიანთა შორის.

მაშინ თვითონაც ასეთი ტანწვრილი იყო. მაშინ ანიკომ სკოლა დაამთავრა და თელავის პედინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა, მაშინ ომი იყო და ანიკოს ტოლები ფრონტზე წავიდნენ. ანიკომ ვერავინ შეიყვარა და აბა, როგორ გათხოვდებოდა. ეს გოგო კი ღიმილით შეჰყურებს თავის გულისტოლს, რომელიც სოფლის საბჭოს მდივანს ანიკო ყიზილაშვილს ქორწინების რეგისტრაციას თხოვს. ანიკო შედარებით გვიან გათხოვდა. ეს გოგო კი ამ გაზაფხულზე სიყვარულს ვერ დაემალა.

— აბა, აქ ხელი მოაწერეთ, — ამბობს ანიკო და ატყობს, ხელი რომ უკანკალებს გოგოს.

რისი გეშინია, გოგონი! ხედავ, როგორ უყვარხარ ბიჭს. შენ ხომ შენის ნებით თხოვდები! აბა რა ექნათ გოგოებს მაშინ, დედის მუცელში რომ წყდებოდა მათი ბედი. თუ ოჯახებს შორის ბავშვების დაბადებამდე დადებული ეს პირობა დაირღვეოდა, დამნაშავეს სისხლი უნდა ეზღო...

— შეიძლება? და მოხუცს ანიკო ფიქრებიდან გამოჰყავს.

— მობრძანდით, ბატონო, დაბრძანდით!

— რა არის ახალი?

ანიკო მაშინ გაზეთს უკითხავდა და მოხუცი ყოველდღე შემოდიოდა სამკითხველოში.

— გუშინ ჩვენმა ჯარებმა...

მაგრამ მოხუცი ხელს აქნევს:

— სუ, ბიძი, არ გამახსენო ის დღეები. ახლაც ყურებში მიდგას შენი ხმა. გუშინ ჩემმა რძალმა მერვე ბავშვი შეგვმატა.

იცის ანიკომ, გუშინ ხუთი ბავშვი დაიბადა სოფელში. მაგრამ მოხუცი მოვიდა, ალბათ, სალაპარაკოდ, თორემ სოფლის საბჭოს მდივანი ყველაზე ადრე იგებს ადამიანის დაბადებას...

ამ ოჯახში ორი ძმა ცხოვრობს. ძმები ცოლშვილიანები არიან და გაყრაზე ლაპარაკობენ. მოხუცი დედა ხან ერთს უყურებს, ხან მეორეს და არ იცის, რომელი შვილი წაიყვანს და ვინ იქნება მისი სიბერის იმედი.

ანიკო მათ ეზოში დაუკითხავად შედის და მოხუც ქალთან დიდხანს ზის. მერე მის ვაჟიშვილებთან ადის და როცა ბიჭები გაყრაზე აღარაფერს ამბობენ, სახლში წასასვლელად დგება. მოხუცი ქალი მკლავში ხელს ავლებს და მარანში შეჰყავს ქვრის თავზე. რძალს მოაქვს ცხელი ხინკალი და ვაჟები შერიგების სადღეგრძელოს სვამენ.

ქვრის თავზე მთვარე დგება და ეს ღამე ისეთი ნათელია, რომ სინათლეს არ ანთებენ. ანიკო ყვება, როგორ უყვარდა თავისი ძველი სახლი, სადაც დაიბადა. ანიკოს შვილები რომ დაიბადნენ, ძველი კედლები ევიწროვათ. ანიკომ ახალი სახლი ააშენა, სახლმა ქუჩა გაალამაზა. ახალგამართულ ოთახებში ანიკოს ბავშვები დარბიან, და როცა ბავშვები იცინიან. კედლებიც იწყებენ სიცილს.

# ვენახში რქაწითელაა

კაბის ჯიბეში გორგალა ტრიალებს. ნაცრისფერი ძაფი თითზე გრძელდება. ჩხირები ერთმანეთს ასწრებენ თვალში თავის გაყრას. ვენახამდე გზა გრძელია. იქ სანამ მივა, წინდის ყელი მოთავდება, ხვალ დედა მთაში გაუგზავნის შვილს ყელმოხატულ წინდებს. მეცხვარე დღემუდამ ფეხზეა და ფეხს სითბო ჭირდება. მიდის ვენახში მარო ზარიძე წინდის ქსოვით.

თუშის ქალს გზაში ისე ვერ შეხვდები, რომ არ ქსოვდეს. ექვსი წლიდან თუში გოგოები ჩხირების დაჭერას სწავლობენ და უფრო რომ მოიზრდებიან, ფერების შეხამებაც იციან. ქალები ადრე ტყეში დაეძებდნენ სალებავ ბალახებს, რომ შინდართული ძაფი ნაირნაირი ფერის ყოფილიყო. ახლა სალებავებს ისინი ადვილად შოულობენ და ფერების შეხამებაც ცოტა შეიცვალა. თუში ქალები ბუნებით მხატვრები არიან. ახლა უფრო მკვეთრი ფერები მოსწონთ და საოცრად თამამი შეხამება ისწავლეს.

საქსოვ დაზგაზე, რომელიც ყველა თუშის სახლში დგას, გაჭიმულია ფარდაგები. მათზე ამოყვანილია მცენარეების ან ცხოველთა გამოსახულებანი განსხვავებული ფერებით. ამ დაზგაზე ფარდაგები ნელა იქსოვება, მაგრამ ქალებს არსად ეჩქარებათ და ქსოვენ გულდაგულ.

მათ ბინებში, კედლებზე თუ იატაკზე დაფენილი ფარდაგები მათი ხელის დამამშვენებელია და დღესაც გასათხოვარი კარგი გოგო, კიდევ უფრო კარგია, თუ ქსოვა იცის.

მარო ზარიძე აგერ ვენახში მისვლამდე წინდის ყელს მოათავებს და ბიჭს გაუგზავნის. მერე ბიჭი ალბათ ცოლს მოიყვანს და ცოლის ნაქსოვი პაჭიჭები უფრო ეყვარება.

35 წლის დაქვრივდა მარო და სამი შვილის პატრონი, მთელ დღეებს ვენახში ატარებდა. მაროს ვენახი კოლმეურნეობაში ახლაც კარგი მოვლილია და მას ახალგაზრდები ეჯიბრებიან შრომაში.

საღამოები ალვანში საოცარი იცის გაზაფხულობით. ეს საღამოები მარო ზარიძეს საკარმიდამო ვენახისათვის ჰქონდა. მთვარიანი ღამეები მაროს კვლებს უნათებდა და ვერცხლისფერ შუქზე მარო უშეცდომოდ ახვევდა რქაწითელას ყლორტებს.

ახლაც, როცა მარტოა სახლში, როცა შვილები დაიფანტნენ, მარო გაზაფხულის წყნარ ღამეებში დიდხანს არის ვენახში. ათას ძირ ვაზს ათასჯერ მაინც უნდა ხელის შეხება. მაროს ღვინო გამოულეველი აქვს და პურმარილიანი ქალის რქაწითელა სოფელში განთქმულია.

ლია კაკაბაძე

მთვარისა კერესელიძე

## მე დავიბადე ივნისის თვეში

ივნისს უქსოვდა მზე ჭრელ-ჭრელ ფარჩებს.
იდგა სურნელი ნაძვის და ფიჭვის.
შორს, ბრძოლის ველზე წასულ მამაჩემს
ესიზმრებოდა გაჩენა ბიჭის.

აღარ გაშლილა სუფრა ქართული,
აღარც ზედიზედ თოფმა იქუხა, .
იდგა სიჩუმე ხმალშემართული,
დაჭრილი მკერდი სტკიოდა მუხას.

რა სიავკაცის არის ჩამდენი
ორმოცდაორი ცხელი და ქუში.
მე დავიბადე, მაგრამ რამდენი
ველზე დაეცა, ალბათ, იმ წუთში...

მე დავიბადე ივნისის თვეში,
ოჯახის ფიქრად, დარდად, ხალისად,
მთვარე ძლივს ჩანდა დენთის ღრუბლებში.
მაინც შემარქვა დედამ მთვარისა.

მას შემდეგ როცა ივნისი დგება,
სხვა მთვარისები ახელენ თვალებს.
იმ ორმოცდაორს იხსენებს დედა
და როცა შიშით შეჰყურებს მთვარეს:

სულში ეღვრება ცის ლურჯი ფერი —
ათას ვარსკვლავით და იმედებით.
და იავნანას ნაზი სიმღერით
შემოსხდომიან აკვნებს დედები.

ეჰეი, თქვენდა, აკვნების მოშლავ,
ნურც ნურასდროსღა განმეორდებით!

ლია ჭავჭავაძე

## ხიროსიმა

შენ ახლა დგახარ და უსასოდ გიშრება ძუძუ,
დედაო, ირიბი თვალებით.
და შენს თვალებში იცრემლება დამწვარი ნაძვი,
დედაო, ირიბი თვალებით.
როგორ დაეცნენ მუხის აკვნები, როგორ დაეცნენ,
ღამისფერ ქარში,
და წეროებმაც მიაშურეს ცისფერ სარეცელს,
დაგტოვეს მაშინ.
ეს —ჩამოიქცა ბუდეები ყოველი მერცხლის,
ქრიან ღამისფერი ქარები.
ო, მიეშველე, ეს იავნანას ედება ცეცხლი,
დედაო, ირიბი თვალებით.
შენ ახლა დგახარ და უსაკოდ ძუძუ გიშრება,
გადამწვარ ქოხების გვერდით,
ცას ნუ შესცქერი, ო, ღრუბლები შენ ვერ გიშველის,
ამ ცაში არ არი ღმერთი,
მზეს გაუწოდე შენ ხელი, თვალებით სველით,
დაიცავ იგი, ვინც გაზარდე ქვეყნად სიმწრითა,
რომ იავნანას ვერასოდეს მიაკვენებდნენ,
დედამიწიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურში



გაიცანით...

ეს თმაშევერცხლილი ქალები ანა ხომიზურაშვილი და მადონა შიშნიაშვილია. დანარჩენები კი დიდი ხანი არ არის გამოვიდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე — დარეჯან მწყერაძე, ასმათ ალნიაშვილი, ეკატერინე მამუკელაშვილი, მერი გურგენოვა, მარგო გოგიტაშვილი, ეთერ ორკოდაშვილი, ლუბა ზაალიშვილი, ნანი ფერაძე. მათ შრომაზე ბევრს ლაპარაკობენ. ისინი მოუსვენარ სამყაროს განაგებენ.

— ჭიების სამყარო, — ამბობენ ღიმილით.

—აბრეშუმი,—ვასწორებ მე და არ მიკვირს, როდესაც აქ, ჩემს ირგვლივ ვერ ვხედავ ვერცერთ მამაკაცს. ჭიას განსაზღვრული სითბო და ტენიანობა სჭირდება. მის გამოკვებას ნაზად უნდა მოეკიდოთ. სითბო და სინაზე არასდროს დაჰკლებია ქართველ ქალს. საკუთარი შვილივით უფრთხილდებოდა ქალი საქართველოში აბრეშუმის ჭიას. ერიდებოდა მასთან ხმაურს, კრძალავდა შოლტის ტკაცუნს, სტვენას, სალამურზე დაკვრას. არ ხარშავდა ტყემალსა და ჭინჭარს. თევზს არ სწვავდა ზეთზე.

ცახებზე აფართხალდებოდა ჭია. ცახებს ოქროსფრად დაწინწკლავდა აბრეშუმი. შემდეგ მიწაში ითხრებოდა საქერე. ადუღებულ წყალში ლივლივებდა პარკი. ქალი ჰოულობდა ძაფის თავს და იმოსებოდა აბრეშუმის დარაიით, მერდინით; ქსოვდა აბრეშუმნარევ საქულაჯეს და საჩოხეს, ხალიჩა-ფარდაგებს.

ახლა უფრო ნათელი ფერი და საოცარი სილამაზე აქვს ქართულ აბრეშუმს. მის დანახვაზე შუქი ელვრებათ თვალებში ქალებს. სცნობენ მას ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში და ხშირად თხოულობენ აბრეშუმის ჭიის გრენას, რომელსაც მეაბრეშუმეობის თელავის სასელექციო სადგური ამზადებს. აქ მიმდინარეობს აბრეშუმის ჭიის ჯიშებზე სასელექციო-საჯიშე მუშაობა პროდუქტიულობისა და რიგითი სამეურნეო ნიშანთვისებათა გადიდება-გაუმჯობესების მიზნით.

თურმე ნუ იტყვით, ეს პატარა მწერები სხვადასხვა დაავადებებით ავადდებიან, რომლებსაც მიკრობები იწვევენ. მიკროსკოპისტი მერი გურგენოვა ყვება, რომ თუ გრენა (თესლი) დაავადებულია პებრონით, მაშინ ინკუბაციის დროს ჩანასახის განვითარება კვერცხებში თანაბრად არ მიმდინარეობს. კვერცხების ნაწილში ჩანასახი იღუპება. სიყვითლით დაავადებული ჭია ამ ავადმყოფობას მემკვიდრეობით გადასცემს. ამიტომაც სისტემატურად წარმოებს ჭიის სელექცია.

შეუძლიათ იამაყონ თელაველებმა. მათმა ჭიებმა უკვე კარგახანია არ იციან რა არის პებრინა, სიყვითლე, მუსკარიდა და სხვა დაავადებანი.

— სხვანაირად არც შეიძლება, — შენიშნავს საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი ანა ხომიზურაშვილი. — ეს თვითეული ჩვენთაგანის სისხლხორცეული საქმეა. არცერთი წუთით არ უნდა შევანელოთ ყურადღება. ეს პაწია მწერები ხომ საოცრად უმწეონი არიან უჩვენოდ.

ანა 30 წელია მეაბრეშუმეა. ჯერ თელავის გრენქარხანაში მუშაობდა, ხოლო 1958 წლიდან, როცა მეაბრეშუმეობის საცდელ-სასელექციო სადგური გაიხსნა, დირექტორად გადმოიყვანეს.

შევდივართ ნათელ, მაღალჭერიან საინკუბაციო ოთახში. აქ კამერებია დადგმული და განსაზღვრული სითბოა. გრენიდან გამოდის მერი. გვერდით ოთახებში საგანგებოდ გაკეთებულ სპეციალურ თაროებზე ჭიების ნადებები იკვებებიან, ჭიად იქცევიან. მეხუთე ასაკში მათ მეაბრეშუმეები სქესებად ჰყოფენ და ცალცალკე ათავსებენ.

აქ განსაკუთრებული სიმყუდროვეა, როდესაც ჭია კანს იცვლის. ბევრი საზრუნავი აქვს მაშინ მთავარ სელექციონერს მადონა შიშნიაშვილს. იგი არ შორდება ტემპერატურის საზომს. ჭიას საკვებს არ აკლებენ გოგონები. 11 ჰექტარი ფართობი უჭირავს თუთის პლანტაციას, რომელიც ამ პატარა არსებებს ეკუთვნის.

თეთრი ტყემლის ყვავილით დახუნძლულ ხეს გვაგონებს ცახი. გამოკრეფის შემდეგ მეაბრეშუმეები ახდენენ თვითეული პარკის გაჭრას, ჭუპრის ამოღებას, აწონვას, სელექციას. ახლა ყურადღება ექცევა პარკის ფორმას, ფერს, სიმკვრივეს. თვითეული ნადებიდან 50 პარკი (25 მამალი, 25 დედალი) იგზავნება ტექნოლოგიური მაჩვენებლის გამოსარკვევად.

დაზგას ინჟინერი მარგარიტა ხრომოვა უზის. იგი სპეციალური ჯაგრისით პოულობს ძაფის თავს და შემდეგ ჯარაზე ეხვევა აბრეშუმი—ქათქათა, სუფთა, ბაეროვანი ქართული აბრეშუმი. საუკეთესო პარკის თვითეული ოჯახიდან კვლავ ნიმუშს იღებენ მომავლისათვის.





იქ კი, საინკუბაციო კამერებში პეპლების შეჯვარებას აწარმოებენ მადონა შიშნიაშვილი, ასმათ ალნიაშვილი, დარეჯან მწყერაძე. დღეში მათ ხშირად 6080 ათასი პეპლის აყვანა უხდებათ, მერე სასწრაფოდ ათავსებენ საიზოლაციო პარკუჭანებში, რათა ჯიში არ აირიოს. პეპელა კვერცხს დებს და კვდება.

ყველა სამუშაოს რატომღაც ციფრებით გამოხატავენ ადამიანები. აქაც ასეა. პარკის დამზადების წლიური გეგმა 135,66 პროცენტით შესრულდა, გრენისა კი — 181,3 პროცენტით, — ვკითხულობთ საგეგმო დავთარში. იქ კიდევ ბევრი ციფრებია, უბრალო ციფრები, ამ ადამიანთა დაუღალავ შრომაზე რომ ლაპარაკობენ.

ლია თევზაძე

## წაუკითხეთ პატარებს

**თინათინ კვირიკაძე**

### ბალისაკენ

დედა, ჩქარა! არ მინდა,  
ბალში დავიგვიანო,  
თორემ ასე იტყვიან:  
ზარმაცია გიაო.

### მწარედ აგაკივლებს

რომ ჭამ ამდენ ტკბილეულს —  
გაგიფუჭებს კბილებს.  
ერთ დღეს იქნება და  
მწარედ აგაკივლებს.

**არნო ღნელი**

### ბანაობა

ბანაობა 'არ უყვარდეს,  
აბა, ის რა ბავშვია?  
პაწაწინა ჩვენი გიაც  
ნახეთ, რა ამბავშია!  
აბაზანა მოუმზადეს,  
თბილი წყალიც ეს არი,  
ცეკვა-ცეკვით შემოცვივდნენ  
საპონი და ზეწარი.  
—ჭუპა-ჭუპა, ჭუპა —ჭუპა! —  
თავს ევლება ბებია,  
გია ბიჭი თვალებს ნაბავს,  
სხვებიც ილიმებიან.

### ოთხი სიტყვა

ეს ბაბუა რა ყოფილა,  
რა ყოფილა ეს ბებია:  
შვილიშვილის რაოდენი  
სიყვარული შესძლებიათ.  
ამ პატარა ბიჭუნაზე  
ამოუდით მზე და მთვარე,  
დღენიადაგ იძახიან:  
იზარდე და გაგვახარე!  
ახლა გია სულ ერთ რამეს  
იმეორებს გამუდმებით,  
სულ ერთ რამეს, სულ ერთ  
რამეს:  
-- დედა, მამა, ბაბუ, ბები...

**შუშანა მგელაძე**

უკვირს, უკვირს გიას,  
ბიჭს კარგსა და ჭკვიანს—  
სადაც გავალ გარეთ  
თან დამყვება მთვარე.

* * *

ვძებნე, ვძებნე, ვერსად ვნახე  
ჩემი ბაზრის კალათა,  
თურმე ყურშამ მოიპარა  
და შიგ მოიკალათა.

* * *

ობობა ქსელს აბამს—  
სურს მოქსოვოს კაბა.  
დაკრა ფისომ თათი  
ჩაუწყვიტა ნართი.

* * *

პაწაწინა ნატოს  
უნდა მელა ხატოს,  
ხატა, ხატა, ხატა,  
გამოვიდა კატა.

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# ႡႠႥႸႥႧႠ ႤႢႦႤႫႠ

ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის პედიატრიის კათედრაზე (გამგე — მედიცინის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მ. ბოკერია) სამკურნალოდ მოიყვანეს 7 წლის ბიჭუნა ო. ვ. დედის გადმოცემით, ორნახევარი თვის იყო, როცა სახეზე პირის ირგვლივ სიწითლე შეამჩნია, სიწითლეს ჩქარა დაერთო კანის აქერცვლა და ქავილი, უფრო გვიან — გამონადენი, კანი ოქროსფერი ქერქით დაიფარა. დედისავე განმარტებით, ბავშვს ჩაუტარდა მრავალმხრივი მედიკამენტური მკურნალობა. ექიმებმა მას 5 თვის ასაკიდან აუკრძალეს რძის ნაწარმის, ხორცის და კვერცხის მიღება. მდგომარეობა კი მხოლოდ 1-2 კვირით უმჯობესდებოდა.

კლინიკაში მოყვანისას ბავშვს მთელ სახეზე ჰქონდა სველი ეგზემა, აწუხებდა ქავილი, უძილობა, ნერვიულობა. ავადმყოფს მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად დაენიშნა ცილებით მდიდარი საკვები (რადგან ამ ავადმყოფობის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი ცილოვანი ცვლის მოშლაა). ის სიამოვნებით ღებულობდა ხორცს, კვერცხს, ხაჭოს და რძის ნაწარმს, რის შემდეგ კანი სრულიად გაეწმინდა, ქავილი გაუქრა, ბავშვი დამშვიდდა და წონაშიც საგრძნობლად მოიმატა.

ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია და ამიტომ საჭიროა ზოგიერთი რამ ვიცოდეთ ამ დაავადების შესახებ.

ბავშვთა ეგზემა იწყება ავადმყოფური მდგომარეობით, რომელსაც ექსუდაციურ დიათეზს უწოდებენ. ექსუდაციური დიათეზი ანთებისადმი მიდრეკილებას ნიშნავს.

ეს ავადმყოფობა ჩვეულებრივად 2-3 წლის ასაკამდე ბავშვებში გვხვდება, თუმცა, არის შემთხვევები, როცა სქესობრივ მომწიფებამდეც არ გაივლის.

დიათეზის ნაადრევი ნიშნები შეიძლება ერთნახევარი-ორი თვის ასაკიდან შევამჩნიოთ. ბავშვს, რომელსაც კარგი გარემო-პირობები აქვს, ზოგ ადგილებში — ყურებს უკან, კისრის ნაოჭებში, იღლიისა და საზარდულის არეში მაინც უჩნდება გამოყელვა, თავზე კი უვითარდება მოყვითალო-მორუხო ფერის ქერქი, რომელიც დაბანის დროსაც არ სცილდება. ბავშვი უმიზეზოდ ტირის, წონაში არათანაბრად მატულობს.

დიათეზის ზოგიერთი მსუბუქი ფორმისათვის დამახასიათებელია ენაზე ლორწოვანი გარსის აქერცვლა, რის გამოც მას გეოგრაფიული შეხედულება აქვს და ასეც უწოდებენ— „გეოგრაფიული ენა“. 2-3 თვის ასაკიდან სახეზე კანი წითლდება, იქერცლება, ერთვის ქავილი. თუ ავადმყოფს მკურნალობა დროზე არ ჩაუტარდა, სახეზე კანის სიწითლე მატულობს, უჩნდება გამონადენი, რომლითაც ლოყებს გარდა შეიძლება მთელი სახე დაიფაროს. ქავილი ძლიერდება და მის შედეგად ჩნდება სისხლმდენი არეები, რაც ბავშვს არასასიამოვნო შესახედავს ხდის. დიათეზის ამ ფორმას სველი ეგზემა ჰქვია.

ეგზემა შეიძლება განვითარდეს სხეულის სხვა ნაწილებშიც: თავზე, კიდურებზე ან ტანზე; ბავშვი კიდევ უფრო ნერვიული და მოუსვენარი ხდება, ცუდად ძინავს. დიათეზიანი ბავშვი უმეტეს შემთხვევაში ძლიერ მსუქანია, მისი წონა გაცილებით მეტია, ვიდრე ამავე ასაკის სხვა ბავშვებისა.

ნაადრევად გამოვლინებული ექსუდაციური დიათეზი საშიში არ არის, დროულად ჩატარებული მკურნალობა უვნებელს ხდის მას. მაგრამ ხშირად მშობლები დასაწყისში ყურადღებას არ აქცევენ კანის უმნიშვნელო ცვლილებებს, რადგან ზოგჯერ დიათეზს ახასიათებს ხანმოკლე ნათელი პერიოდები (1-2 კვირით კანი სუფთავდება, ქავილი თითქმის ქრება), დედა ფიქრობს, ყველაფერმა გაიარა და... იწყება თავიდან, ზოგჯერ — უფრო უარესი სურათიც. რაც უფრო ხშირად მეორდება კანის ცვლილებები, მით უფრო ქვეითდება ორგანიზმის ბრძოლის უნარი, თან ერთვის სხვა დაავადებებიც — ანგინა, ფილტვის, ყურის, საშარდე გზების ანთება, რაც კიდევ მეტად ამძიმებს მას.

რით შეიძლება ავიცილოთ თავიდან ეს სენი? რასაკვირველია, დიათეზისაგან ბავშვის დასაცავი საშუალებანი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მისი გამომწვევი მიზეზები.

ექსუდაციური დიათეზის პროფილაქტიკა იწყება ჯერ კიდევ დედის ორსულობის პერიოდში. ორსულობის დროს ნაყოფზე გავლენას ახდენს დედის ხშირი ავადმყოფობა, ინფექციები, ნერვიულობა, გადაღლა, არასწორი კვება. ამიტომ დედა მოვალეა დაიცვას სუფთა ჰაერით, მზის სხივებით სარგებლობის, დასვენებისა და კვების რეჟიმი. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ნაყოფზე არასრულფასოვანი, ერთფეროვანი კვება. თუ ორსულობის პერიოდში დედა დიდი რაოდენობით ღებულობს მარტო ხორცს, კვერცხს, თევზს, ნიგოზს ან რომელიმე სხვა საკვებს (ასეთი გამღიზიანებელი კი მრავალრიცხოვანია), ბავშვი იბადება ამ საკვებისადმი აწეული მგრძნობელობით.

ექსუდაციური დიათეზის ნიშნების ნაადრევად გამოვლინებისას სრულყოფილი გარემოპირობების შექმნა, კვების რეჟიმის მოწესრიგება, დროული პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება ბავშვის სრული გაჯანსაღების საწინდარია.

პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება დამაკმაყოფილებელი გარემო პირობების შექმნით უნდა დავიწყოთ: ოთახი, რომელშიც ბავშვს ძინავს, უნდა იყოს მზიანი, ხშირად უნდა ნიავდებოდეს. მისი ტემპერატურა უნდა იყოს თანაბარი; ზამთარში უნდა ვერიდოთ ბავშვის გაციებას, ხოლო ზაფხულში — გადახურებას. ბავშვი მაქსიმალურად უნდა სარგებლობდეს სუფთა ჰაერით და მზის სხივებით. ზამთრის თვეებში მისი ჰაერზე გაყვანა სასურველია განსაზღვრულ საათებში (10-დან 12 საათამდე დილით, საღამოს 4-დან 6 საათამდე), ხოლო თბილ თვეებში უმეტეს დროს სუფთა ჰაერზე უნდა ატარებდეს.

ბავშვი ყოველთვის სუფთად უნდა იყოს, ხშირად უნდა გამოვუცვალოთ. მნიშვნელობა აქვს შეხვევის ტექნიკასაც, რომ საფენის ნაოჭებმა არ შეაწუხოს.

საყურადღებოა ისიც, რომ ჰიგიენური აბაზანა უნდა გაუკეთდეს ყოველდღე, კანის ოდნავი დაზიანებისას ბანაობის შემდეგ ამ ადგილებში უნდა წაუსვათ თევზის ან ატმის ზეთი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ძილის და კვების რეჟიმს.

ექსუდაციური დიათეზის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ორგანიზმს მივაწოდოთ განსაკუთრებით ცილებით მდიდარი საკვები, ამიტომ ბავშვს ორნახევარი-სამი თვის ასაკიდან დიათეზის ნაადრევი გამოვლინებისას ყოველ კვებაზე უნდა დავუმატოთ (მიუხედავად იმისა, ყოფნის თუ არა დედის რძე) ცილოვანი საკვები — დო, „ტვორისი“ (ხაჭო ბრინჯის ნახარშით) ან ცილოვანი რძე, ან მაწონი, ან კეფირი, რაც თავიდან აცილებს ცილოვანი ცვლის მოშლას.

გარდა ამისა, საჭიროა ზომიერების დაცვა ხილის წვენის ხმარებისას, ერთჯერად დიდი რაოდენობით ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ვაშლის, ბროწეულის, სტაფილოს ან სხვა ხილისა და ბოსტნეულის წვენის მიცემამ შეიძლება ავადმყოფობის გამწვავება გამოიწვიოს. 1-2 თვის ასაკის დაავადებულმა ბავშ-

ვმა ხილის წვენი უნდა მიიღოს ყოველი კვების შემდეგ ნახევარი ჩაის კოვზი და თუ ამან 2-3 დღის განმავლობაში რაიმე ცვლილება არ გამოიწვია, შეიძლება 1 ჩაის კოვზი მივცეთ 3-4-ჯერ დღეში.

აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად დიათეზის პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს კვარცით დასხივებას (დასაწყისი ფორმების დროს), კანის დაზელვას მარილიანი წყლით, ჰაერისა და სინათლის აბაზანებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია აბაზანები მანგანუმმჟავა კალიუმის 5%-იანი ხსნარით, სოდის, მარილის, სახამებლის, ნახერხის, გოგირდიანი და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ღონისძიებების ზუსტად ჩატარების შემდეგ შეიძლება თავიდან ავიცილოთ დიათეზით დაავადება, მაგრამ თუ ავადმყოფობის შეჩერება არ მოხერხდა, მაშინ დროულად უნდა მივმართოთ ექიმს.

ექიმი-პედიატრი ვ. რუსიძე

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის ორდინატორი.

# ჭარბთმიანობა

ჰიპერტრიხოზი ანუ ჭარბთმიანობა ქალის სახის კანის სერიოზულ კოსმეტიკურ დეფექტად ითვლება. ჭარბთმიანობა უფრო ხშირად ვითარდება ქალიშვილთა შორის სქესობრივი მომწიფების პერიოდში, ხოლო ქალებში — კლიმაქტერიულ პერიოდში. ჭარბთმიანობის გამომწვევი მიზეზებია: შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები და სხვა.

თმის უჩვეულო ზრდა განსაკუთრებით იმ ქალებს შეემჩნევათ, რომლებმაც მოიპარსეს ან პინცეტით ამოგლიჯეს ოდნავ შესამჩნევი თმის ღინღლი.

ზოგჯერ ამ კოსმეტიკური ნაკლოვანების მქონე ქალებს რცხვენიათ საზოგადოებისა და თმას იცილებენ პინცეტით, პემზით, ძაფით, თაფლის სანთლით. მაგრამ ყველა ეს საშუალება თმის ზრდას კი არ ამცირებს, პირიქით. აძლიერებს, ხოლო თვითონ თმას კი ჯაგრისებურს ხდის.

ჰიპერტრიხოზით დაავადებულთათვის აკრძალულია აგრეთვე იმ პროცედურების ჩატარება, რომლებიც აძლიერებენ სახეზე სისხლის მოწოლას და თმის უფრო ინტენსიურ ზრდას იწვევენ. ასეთია: პარაფინისა და ბადიაგის ნიღაბი, ყოველგვარი ამქერცლავი საშუალებები, მასაჟები და ულტრაიისფერი სხივებით დასხივება.

ასევე ხელს უწყობს თმის ზრდას ვერცხლისწყლის პრეპარატების შემცველი მათეთრებელი მალამოების, მკვებავი კრემებისა და დარიშხანიანი პრეპარატების გამოყენებაც.

რენტგენოთერაპია კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. მართალია, მცირე დოზებით ის იწვევს დროებით (მხოლოდ დროებით!) თმის ცვენას, მაგრამ დიდი დოზები რენტგენულ დაზიანებას — ძლიერ ატროფიას იწვევს: თავდაპირველად სისხლძარღვები ფართოვდება, შემდეგ კი იწყება კანის შესქელება, წყლულებისა და ავთვისებიანი გადაგვარების გაჩენა.

ჰიპერტრიხოზით დაავადებულმა უნდა მიმართოს ექიმ კოსმეტოლოგს, რომელიც გამოარკვევს სახეზე თმის გაჩენის მიზეზებს — ცალკეულ შემთხვევაში საჭირო ხდება ენდოკრინოლოგისა და გინეკოლოგის ჩარევაც.

ბოლო ხანებში ექიმი-კოსმეტოლოგები ჭარბთმიანობის სამკურნალოდ იყენებენ კომპლექსურ ჰორმონალურ მკურნალობას ელექტროლიზთან ერთად.

ელექტროლიზით მკურნალობა ტარდება გალვანური ან ჰოფმანის სისტემის აპარატით.

მკურნალობის პირველი კურსის ჩატარების შემდეგ, მართალია, თმა 2-3 კვირის მერე ისევ იწყებს ზრდას, მაგრამ თმის რაოდენობა მცირდება დაახლოებით 50 პროცენტით. განმეორებითი კურსი ტარდება 1-2 თვის შემდეგ. ხოლო ჰიპერტრიხოზის მძიმე ფორმების შემთხვევაში მკურნალობა შეიძლება გაგრძელდეს საშუალოდ 2 წლის განმავლობაშიც, შუალედებით 1-დან 3 თვემდე.

ექიმი კოსმეტოლოგი
ირინა წერეთელი.

**რედაქციისაგან:** ჩვენი მკითხველები ხშირად გვეკითხებიან: სად შეიძლება ჩავატაროთ ელექტროლიზით მკურნალობა?

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი კოსმეტოლოგიური კაბინეტია — თბილისში, კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. მაგრამ ახლო მომავალში ასეთი კაბინეტის ან კოსმეტოლოგიური პოლიკლინიკის გახსნა ნავარაუდევია ვაჟა-ფშაველას პროსპექტზეც.

ფიქრობენ, შემდეგში ამგვარ დაწესებულებათა ქსელი უფრო გაფართოვდება როგორც დედაქალაქში, ასევე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

# როგორ მოვუაროთ ნოხებს

კარგი მოვლით ნოხისა და გზაკვალის ხმარების ხანგრძლიობა შეიძლება მეტად გავადიდოთ. ნოხის ნაწარმის ხალიანი ზედაპირი თანაბრად არ ცვდება. ამიტომ იატაკზე ნოხს ხშირად უნდა შევუცვალოთ ადგილი. თუ ნოხის ნაწარმი გასასვლელებში, კორიდორებში, კიბეებზე და სხვა სათავსოებში აგია, მის ზედაპირზე ტილოს ან სხვა ქსოვილების გზაკვალა უნდა დავფინოთ. ნოხების ნაწარმის ცვეთის შემცირებისა და მისი ელასტიურობის გადიდების მიზნით ხშირად მის ქვემოთ ფორებიან რეზინის საფენსაც აგებენ.

ხელით დამზადებულ ნოხებს სხვანაირი მოვლა უნდა მანქანით დამზადებულთან შედარებით. ხელით ნაქსოვი ნოხი ძალიან დიდხანს შეინახება, თუ სწორად და მზრუნველობით მოვიქცევით. ჭუჭყი და მტვერი უმჯობესია მტვერსასრუტით ან კარგი ცოცხით მოვაცილოთ. დაუშვებელია მათი ძელებით ცემა, გაბერტყვა, თოკზე ჩამოკიდებულის ძლიერ დაფერთხა. ამან შეიძლება გამოიწვიოს ქსელის ძაფების წყვეტა და ხაოს კვანძების ამოვარდნა. ნოხი უნდა დავაფინოთ მოლზე, ან სუფთა იატაკზე ხაოიანი ზედაპირით ქვევით და მსუბუქად დავბერტყოთ ტყავის ზონარებისაგან დაწნული რბილი და ელასტიური ძელით, უკანა მხარე გავწმინდოთ სუფთა ჯაგრისით. ამის შემდეგ ნოხი უნდა გადმოვაბრუნოთ ზედაპირით ზევით და ფრთხილად გავასუფთაოთ ხაოიანი ზედაპირი. ხაოს გაწმენდა ჯაგრისით, მისი დაქანების საწინააღმდეგოდ, დაუშვებელია; ეს ასუსტებს კვანძებს, გარდა ამისა ნოხის ქსოვილში მტვერი და ჭუჭყი შედის. შემდეგ ჯაგრისი ან სუფთა თეთრი ქსოვილი წყლით ან სპირტით უნდა დავასველოთ და მთელი ნოხის ზედაპირი ხაოს დაქანების მიმართულებით უნდა გავწმინდოთ, ასე კარგად სუფთავდება ხაოს ბოლოები და ნოხი პრიალა და აბრეშუმისებური ხდება.

ზამთარში, ყინვიან დღეს ნოხის ნაწარმის გაწმენდა კარგია თოვლით. ნაწარმი უნდა დავაფინოთ სუფთა თოვლზე ზედაპირით ქვევით და რამდენიმეჯერ გავბერტყოთ ისეთივე ელასტიური ძელით ან წნელის საგველით.

როცა თოვლი გაჭუჭყიანდება, ნოხი ახლა სხვაგან უნდა გადავიტანოთ. ისევ დავაყაროთ სუფთა თოვლი და გავიმეოროთ რამოდენიმეჯერ ნოხის სრულ გაწმენდამდე. ასე იწმინდება ნოხის როგორც უკუღმა პირი, ასევე მისი ხაოიანი ზედაპირიც ყინვა კი ჩრჩილს ანადგურებს.

მცირე ზომის ნოხის ნაწარმი ბინაში შეიძლება გაიწმინდოს. ამისათვის რაიმე ქსოვილი უნდა გავაფინოთ იატაკზე, მასზე დავაფინოთ ნოხი ხაოიანი ზედაპირით ქვევით და გავბერტყოთ უკუღმა მხრიდან. ჭუჭყი და მტვერი ნესტიან ქსოვილზე დაიყრება. ორივე მხრიდან კარგად გაბერტყვის შემდეგ ნოხი უნდა გავწმინდოთ ოდნავ სველი ცოცხით.

ჭუჭყი და მტვერი, რომელიც ხაოს ძირებში იყრის თავს, ჯაგრისით ან მტვერსასრუტით არ გაიწმინდება. ამიტომ ხელით ნაქსოვი ნოხები ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაირეცხოს. თუ ნოხები კუთხეებში მრგვლად ეხვევა, უკუღმა მხრიდან უნდა ამოვაკრათ ქსოვილისაგან შეკერილი მცირე ზომის ჯიბეები და მასში მოვათავსოთ ლითონის ბრტყელი ფურცლები.

ძველი ნოხების აღდგენისას ხვრელების და ჩრჩილით დაზიანებული ადგილების ამონემსვას ახდენენ. ამ შემთხვევაში აღდგენილი უნდა იქნეს ნოხის სურათი, რისთვისაც უნდა შეირჩეს ძაფი ნომრის, დაგრეხვისა და ფერის მიხედვით. აღდგენილი ნაწილი მთლად უნდა შეესაბამებოდეს დაზიანებული ნოხის სურათს, ხოლო მათი ხაო თანაბარი სიმაღლის უნდა იყოს.

მანქანებით დამზადებული ნოხი და ნოხის ნაწარმი, მისი ექსპლოატაციის პირველი ექვსი თვის განმავლობაში არ შეიძლება გაიწმინდოს მტვერმსრუტით ან მაგარი ჯაგრისით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნაწარმის ზედაპირიდან ხდება ხაოს მცირე ნაწილაკების აცვენა (ეს დასაშვებია ტექნიკური პირობებით და რაც უფრო მაღალია ხაო მით უფრო მნიშვნელოვანია ნაწილაკების აცლა). თუ ცოცხით ფრთხილად მოვაცილებთ ბოჭკოს ნაწილაკებს, მაშინ ბოჭკოების ამოცვენა მნიშვნელოვნად შემცირდება. ასეთი ბოჭკოების მცირე ნაწილაკების მოცილება არ აუარესებს მის ხარისხს და არ ნიშნავს იმას, რომ ხაო სუსტად არის დამაგრებული ქსოვილის კარკასთან.

ექვსი თვის შემდეგ ნოხი შეიძლება მტვერმსრუტით გაიწმინდოს იმ პირობით, რომ მისი ჯაგრისი არ უნდა ვამოძრაოთ ხაოს დაქანების საწინააღმდეგოდ.

სხვა მხრივ მანქანით დამზადებული ნოხების მოვლა ხელით დამზადებული ნოხების მოვლის ანალოგიურია.

თუ ნოხი ძლიერ დაჭუჭყიანებულია და ისეა გახეხილი, რომ კარკასი ჩანს, ანდა ჩრჩილისაგან დაზიანებულია, აქვს ხვრელები და სხვა დეფექტები, იგი უნდა ჩავაბაროთ ქიმიურ წმენდაში და სარესტავრაციო სახელოსნოში.

ზაფხულში ნოხები უფრო მეტად ზიანდება მტვერისა და ჩრჩილისაგან, ამისათვის მათ აილებენ ახვევენ და ისე ინახავენ. წინასწარ ნოხებს ამზეურებენ, ქარში გააშრობენ და ფრთხილად გაბერტყავენ. გაწმენდილ და გამშრალ ნოხებს დააყრიან ნაფტალინს. გრძელხაოიან ნოხებზე ნაფტალინის დაყრა მიზანშეწონილი არ არის. ამათთვის უნდა დავამზადოთ ნაფტალინიანი პარკები ან ნაფტალინის ბურთულები, რომლებსაც ნოხის ნაკეცებს შორის, ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებულ მანძილზე მოვათავსებთ. შესანახად ნოხი უნდა დაიხვიოს რაც შეიძლება მჭიდროდ (უმჯობესია დაიხვიოს მრგვალ ძელზე) გაზეთის ქაღალდში და გადავაყაროთ ნაფტალინი.

ნოხის ნაწარმი სინესტეს უნდა მოვარიდოთ, რადგან ნესტიან სათავსოში ნოხი დაობებას იწყებს. ხანგრძლივად სინესტეში ყოფნისაგან ნოხი ნაწილებად იშლება. რეკომენდებულია ნოხის და ნოხის ნაწარმის ხშირი განიავება. მეტად სასარგებლოა განიავება მზიან ამინდში. ნოხებს რამდენიმე საათს აშრობენ უკუღმა მხრიდან და როცა მზე ძალიან მცხუნვარე არაა, ერთი, ერთნახევარი საათი აშრობენ მის ხაოიან ზედაპირს.

ქიმიური ბოჭკოსაგან დამზადებული ნოხის ნაწარმი შეიძლება გავრეცხოთ სარეცხი ფხვნილით ან სხვა სინთეზური სარეცხის საშუალებებით, ოღონდ მსუბუქად.

**შ. ბეშკენაძე,**
საქონელმცოდნე

# კულინარია

## ფენოვანი ხაჭაპური

მასალა 4 ხაჭაპურის ცომისათვის: კვერცხი — 5 ცალი, კარაქი — 400 გრ, ფქვილი — 1კგ, მარილი — ნახევარი ჩაის კოვზი. ბორჯომის წყალი-ნახევარი ლიტრი.

ჩვეულებრივი წესით დამბალ და გაწურულ 2 კგ ყველს შეურიეთ $1/2$ ჩაის ჭიქა მანის ფქვილი. გაყავით 4 ნაწილად.

ოთხი კვერცხი მთლიანად და ერთი კვერცხის ცილა გათქვიფეთ, დააყარეთ მარილი. დაასხით $1/2$ ლიტრი ბორჯომის წყალი და შეაზილეთ ფქვილი (უმაღლესი ხარისხის) მიღებული ცომი გაყავით ოთხ ნაწილად და შეინახეთ მაცივარში ან დადგით ცივ ადგილას.

კარაქს დააყარეთ 1 ჩაის ჭიქა ფქვილი, კარგად დაზილეთ და ესეც გაყავით ოთხ ნაწილად.

ცივი ცომი სათითაოდ გამოიღეთ მაცივრიდან, გაბრტყელებამდე კარგად შეზილეთ, გააბრტყელეთ, დაადეთ ზედ კარაქიანი ცომის ერთი ნაწილი (ისე, როგორც ყველს დებთ ჩვეულებრივ ხაჭაპურში), მოუყარეთ ცომს თავი და გააბრტყელეთ. გაბრტყელებული ცომი დაკეცეთ კონვერტივით და ისევ გააბრტყელეთ. იმ ზომამდე, რომ მოათავსოთ ზედ 500 გრ ყველი. შემდეგ ჩვეულებრივი წესით გააბრტყელეთ გაზქურის ტაფის ზომაზე და შედგით გამოსაცხობად. 10 წუთის შემდეგ მოუსვით თავზე წყალში გახსნილი 1 კვერცხის გული და დაასრულეთ ცხობა.

## ვაშლის ნამცხვარი

მასალა ცომისათვის: კარაქი — 300 გრ, კვერცხი — 3 ცალი, შაქარი — 1 ჩაის ჭიქა, ფქვილი — 2 ჩაის ჭიქა, მზესუმზირის ზეთი — 1 სუფრის კოვზი, სოდა $1/2$ ჩაის კოვზი, ძმარი — 1 სუფრის კოვზი, მარილი და ვანილი — გემოვნებით.

მასალა ვაშლის პიურესთვის: დათლილ, ოთხად გაჭრილ ვაშლს (1,5 კგ) დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და კარგად მოხარშეთ ნელ ცეცხლზე. დააყარეთ მეოთხედი ჩაის ჭიქა შაქარი და დაასრულეთ ხარშვა, უყავით ვანილი გემოვნებით.

ცომის დამზადება: ხის კოვზით დაზილეთ კარაქი, დააყარეთ შაქარი, დაახალეთ კვერცხი, დაუმატეთ ზეთი, რძე, მარილი, ვანილი და ძმარში არეული სოდა. ყველაფერი ეს კარგად შეზილეთ ფქვილთან ერთად. მიიღებთ მეტად ფაფუკ ცომს, რომელსაც გადმოიტანთ წინასწარ ფქვილმოყრილ გაზქურის ტაფაზე. ზემოდანაც მოაყარეთ ცოტა ფქვილი და გააბრტყელეთ. შემდეგ ცომის ზედაპირი დაფარეთ ვაშლის პიურეთი და ზედაპირი მორთეთ (გემოვნების მიხედვით) მაგარი ცომისაგან გამოჭრილი ზოლებით. შედგით ჰაერღუმელში გამოსაცხობად და თვალყური ადევნეთ.

დიასახლისი **ალექსანდრა ჭელიძე**

# ჭრელ-ჭრელი

## მაიმუნების „ენა“

ნიუ-იორკის ზოოპარკში მეცნიერები მაგნიტოფონზე მაიმუნების „ყბედობას“ იწერდნენ. მაგრამ წვიმა წამოვიდა და იძულებული იყვნენ ექსპერიმენტი შეეწყვიტათ. ერთი დღის შემდეგ მეცნიერებმა ჩანაწერი აღადგინეს. როგორც კი მაიმუნებმა ყვირილი გაიგონეს, რომელიც ორი დღის წინ თვითონ შექმნეს წვიმის მოახლოებისას, გადახურულისაკენ გაქანდნენ. ცაზე კი ერთი ბეწო ღრუბელიც არ მოჩანდა.

## „მაიონეზი“

მაიონეზი, ურომლისოდაც შეუძლებელია დღევანდელი მენიუს წარმოდგენა, შეიქმნა ჰერცოგ რიშელიეს წყალობით. 1757 წელს კუნძულ მენორკას ნავსადგურს — მაინს, ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს. ფრანგებს საკვები პროდუქტებიდან მხოლოდ კვერცხი და მცენარეული ზეთი შერჩათ, რის გამოც ისინი იძულებული იყვნენ მხოლოდ ომლეტი ეჭამათ ყოველდღიურად.

ფრანგი ჯარების მთავარსარდალმა ჰერცოგმა რიშელიემ ერთ დღეს მზარეული გამოიძახა და უბრძანა რაიმე სხვა კერძი დაემზადებინა კვერცხისა და მცენარეული ზეთისაგან. ჭკვიან მზარეულს აზრად მოუვიდა უმი კვერცხი აერია ზეთში და ენახა რა გამოვიდოდა. ახალი კერძის გემო ძალიან მოეწონა ჰერცოგს.

მაინში გამოგონებულ სოუსს მაიონეზი უწოდეს და სწორედ აქედან წარმოსდგება დღევანდელი „მაიონეზი“.

მზარეულის სახელი, რომელმაც შექმნა პიკანტური სანელებელი, უცნობია, მის მაიონეზს კი მთელი მსოფლიო იცნობს.

გარეკანის პირველ გვერდზე—
მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი
ვალენტინა ტერეშკოვა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—
ბავშვთა შემოქმედება.

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 48.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1013 უე 04929

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

# ეიფელის კოშკი

ახლოვდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეასე წლისთავი. გადაწყვიტეს ამ თარიღისათვის პარიზში მსოფლიო გამოფენა მოეწყოთ, გამოფენის ტერიტორიაზე კი აღემართათ კოშკი. კოშკს სიმბოლიურად უნდა გამოეხატა როგორც საფრანგეთის რევოლუციის სიდიადე, ასევე ტექნიკის უახლესი მიღწევები. შვიდასი პროექტი მიიღეს საკონკურსოდ. მათ შორის ყველაზე უკეთესად მიჩნეულ იქნა ინჟინერ გუსტავ ეიფელის პროექტი.

ერთხელ, კოშკის მშენებლობის დამთავრების დიდი ხნის შემდეგ, ეიფელმა ოდნავი წყენით თქვა: „ხალხს ჰგონია, რომ ეს ჩემი ერთადერთი ნამუშევარია. ხანდახან კოშკზე ვეჭვიანობ კიდეც. მარტო მისთვის ხომ არ შემიწირავს მთელი ჩემი სიცოცხლე!“ მართლაც, კოშკმა ეიფელის ყველა დანარჩენი ნამუშევარი დაჩრდილა. ამ ინჟინრის სახელი კი დაკავშირებულია ამერიკის თავისუფლების ქანდაკებასთან, რომელიც ფრანგებმა შეერთებულ შტატებს აჩუქეს.

ეიფელის ნახაზების მიხედვით, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს აიგო თავისუფლების ქანდაკება და კოშკი. მაშინდელი ტექნიკით ეს ძალიან ძნელი ამოცანა გახლდათ. საჭირო იყო შექმნილიყო მსუბუქი და მაგარი კონსტრუქცია, რომელსაც საიმედოდ უნდა დაემაგრებინა ქანდაკების ზეაპყრობილი ჩირაღდნიანი ხელი და გაეძლო ოკეანის ძლიერი ქარებისათვის.

ეიფელმა კიდევ ერთ საქვეყნოდ ცნობილ მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა; იგი დათანხმდა პანამის არხის კონსტრუქტორობა ეკისრა. როცა პანამის არხის მშენებლობის კომპანიამ კრახი განიცადა და გალატაკებულმა მეანაბრეებმა დამნაშავეთა გასამართლება მოითხოვეს, ბრალდებულთა სკამზე ქურდებისა და თაღლითების ნაცვლად ინჟინრები აღმოჩნდნენ, მათ რიცხვში იყო ეიფელიც. მხოლოდ და მხოლოდ განთქმული მშენებლის სახელმა და პატიოსანი კაცის რეპუტაციამ იხსნა იგი გალანძღვისაგან.

ეიფელი გარდაიცვალა პარიზში 1923 წელს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თითქმის სავსებით მიანება თავი კონსტრუქტორულ სამუშაოებს. იგი ბევრ დროს ატარებდა თავისი კოშკის მწვერვალის აივანზე. მრავალრიცხოვანმა ტურისტებმა როდი იცოდნენ, რომ მოხუცი, რომელიც საათობით იდგა ბალუსტრადის წინ, ამ შესანიშნავი ნაგებობის შემქმნელი იყო. შეიძლება ასე ჯობდა. ეიფელს არასოდეს არ ყვარებია ავტოგრაფების დარიგება. კოშკში დაცულია ეიფელის ოთახი. ყველაფერი ისევეა, როგორც იმ დღეს, როდესაც ეიფელი უკანასკნელად ავიდა კოშკზე. კარი დაკეტილია.

პარიზში ინახება ნახაზების 5 ათასი ფურცელი, რომლის მიხედვითაც აიგო კოშკი. თუ კი საჭირო გახდებოდა, ყოველ წუთს შეიძლებოდა ეიფელის „ტყუპის ცალის“ აგება. ნახაზები დღემდე სანიმუშოდ ითვლება. მათი მიხედვით იქნა დამზადებული 15 ათასი ცალი სხვადასხვანაირი დეტალი. კოშკის ცალკეული ბლოკები დაბლა, მიწაზე გროვდებოდა, ხოლო შემდეგ კი ზევით იწყობოდა.

მარტო კონსტრუქტორული გაანგარიშებით როდია კოშკი შესანიშნავი, განსაცვიფრებელია ისიც, თუ როგორი სიზუსტით არის ფრანგი მუშების მიერ დამზადებული ყველა დეტალი. ფრანგული საამშენებლო საქმის სახელმძღვანელოებში ასეთი მაგალითია მოყვანილი: როცა კოშკის ოთხივე „ფეხი“ დაამთავრეს და თორმეტსართულიანი სახლის სიმაღლეზე ბაქანის აწევა დაიწყეს, რომელსაც „ფეხები“ მაგრად უნდა შეერთებინა, აღმოჩნდა რომ საყრდენებში და ბაქანზე ჭანჭიკებისათვის დატოვებული ადგილები აბსოლუტურად ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს. ისეთ რჩებოდა, როგორც ეს საბავშვო „კონსტრუქტორშია“, მხოლოდ ჭანჭიკები ჩაეხრახნათ. არ დასჭირებია არცერთი ნახვრეტის ხელახალი გაბურღვა.

აღსანიშნავია ეიფელის კიდევ ერთი მიღწევა, მისი კოშკი სულ 9 ათას ტონას იწონის. იმაზე თუ რამდენად ცოტაა ეს, მეტყველებს თუნდაც ის რომ საღებავი, რომელსაც რვა წელიწადში ერთხელ უსვამენ, კოშკს წონაში 35 ტონას უმატებს, თანაც კოშკში ლიფტები მუშაობს, მოთავსებულია რესტორნები, მოედნები და ტექნიკური მომსახურეობა.

კოშკი შესანიშნავად უძლებს ქარტეხილებს. თვითონ ეიფელი, გაანგარიშების დროს, კოშკის წვეროს 30 სანტიმეტრით გადახრის შესაძლებლობას უშვებდა. ამის გამო ზოგიერთს ირონიულადაც კი ეღიმებოდა; ქარის პირველ შემობერვაზევე გადაყირავდებაო — ამტკიცებდნენ სკეპტიკოსები. ხუმრობა ხომ არ არის 300 მეტრის სიმაღლე!

გავიდა 73 წელი. კოშკის წვერო კი სულ რაღაც 15 სანტიმეტრით გადაიხარა.

კოშკი ისე ზუსტადაა აგებული, უკანასკნელ ჭანჭიკამდის ისეა მოფიქრებული, რომ მთელი ამდენი ხნის მანძილზე არცერთხელ არ დასჭირვებია სერიოზული შეკეთება.

იგი დიდი ხანია პარიზის სიმბოლოდ იქცა, შეესისხლხორცა მას. ხშირად პარიზელს უჭირს კიდეც დაიჯეროს, რომ კოშკი უსულო საგანია, რომ მხოლოდ ლითონის ნაწილებისაგანაა აგებული. რამდენი ქორწილის მოწმეა იგი! რამდენი გადმომხტარა პარაშუტით მისი წვეროდან. უკანასკნელი საუკუნის ყველა დიდი პიროვნება იცნობს მას. ყოველწლიურად ორ მილიონამდე კაცი ადის მის წვეროზე; ტკბება პარიზისა და სენის ცისფერი სარტყელის ხილვით. თუმცა იყო გამონაკლისებიც.

1942 წელს ოკუპირებულ პარიზში ჰიტლერი „ჩაბრძანდა“. მისი ვიზიტების გეგმაში ეიფელის კოშკიც შედიოდა. ფიურერს სურდა ზევიდან გადმოეხედა დამარცხებული ქალაქისათვის. მანქანების გრძელმა ესკორტმა დაცარიელებულ ქუჩებს ჩაუარა და კოშკის „ფეხებთან“ შეჩერდა. ლიფტთან დაბნეულ გერმანელ ოფიცერთა ჯგუფი იდგა. ლიფტი არ მუშაობდა, და არც ამუშავებულა, ვიდრე ჰიტლერი მანქანაში არ ჩაჯდა და უკან არ წაეთრია.

კოშკს ბევრი რამ გადახდომია თავს. პირველი მსოფლიო ომისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქ მოთავსებული იყო ამერიკული სამხედრო რესტორანი. ამ წლებში კოშკის ადმინისტრაცია იძულებული იყო ოფიციალურად გამოეცხადებინა, რომ დაზღვევის ფულს გადაუხდიდა გამვლელებს, რომლებიც დასახიჩრდებოდნენ ამერიკელი ოფიცრების მიერ ფანჯრიდან გადასროლილი ბოთლის ნამტვრევებით. რესტორანი ახლა დაკეტილია.

კოშკი მხოლოდ ცოტა ხნით იყო ქალაქის სამკაულად. 1921 წლიდან მოყოლებული ერთგულად შრომობა; ანტენა დადგეს და რადიოანძად იქცა. შემდეგ წლებში კოშკი „გაიზარდა“ და ტელევიზიის ანტენობა იკისრა.

ორმოცი წლის განმავლობაში ეიფელის კოშკი უმაღლესი იყო მსოფლიოში. მერე ამერიკის ცათამბჯენებმა გაუსწრეს. ომის შემდეგ კიდევ ერთი საფეხურით დაიწია: იაპონიაში, ამერიკაში და იუგოსლავიაში აღმართეს სატელევიზიო ანძები, რომლებიც ნიუ-იორკის ცათამბჯენებზე მაღლები აღმოჩნდნენ. ახლახან კი ლენინგრადის სატელევიზიო კოშკის ისარი აიჭრა ცაში, ახალი „მსოფლიო საოცრება“, რომელიც 15 მეტრით მაღალია და 8-ჯერ მსუბუქი ეიფელის კოშკზე! როცა მოსკოვში აშენდება სატელევიზიო კოშკი, ეიფელის კოშკს კვლავ მოუწევს ჩამოქვეითება.



ფრანგი მხატვრის ბერნარ ბუფეს ნახატი

6 75/216



ИНДЕКС 76177

